დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 160 სამშაბათი, 21 ივლისი 1909 წ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში 18 ივლისს გარდაიცვაა სტატსკი სოვეტნიკი

თავ. სიმონ დავითის ძე გუგუნავა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობებს ქვრივი განსვენებულისა **ფეოდოსი ნიკოლოზის ასული კნეინა გუგუნავასი**, შვილებით თავადნი **დავით** და **გრიგოლ გუგუნავები**, ცოლის ძმა თავ. **სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე**, ცოლის დები კნეინა **სოფიო ნიკოლოზის ასული მიქელაძისა, ელენე ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა** და ქვისლი თავ. **მიხეილ ლევანის ძე ლორთქიფანიძე**, გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 23 ივლისს დილის 9 საათისთვის, გენერლის ქ., სახლი ქალაქის გამგეობისა, საიდანაც სობოროში წირვის მოსმენის შემდეგ ცხედარი წასვენებულ იქნება ს. ბაკისუბანში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ს. (1—კვ.—1)

პროვინციის ჟურნალ-გაზეთების გამყიდველთა საყურადღებოდ

მიუხედავად მრავალჯერ გაფრთხილებისა, ზოგიერთი აგენტი თავის დროზე არა ჰგზავნის გაყიდულ ჟურნალ-გაზეთების ფულს და, ამ რიგად, რედაქციები დანიშნულ დროზე ფულს ვერ იღებენ. უკანასკნელად ვაცხადებთ აგენტების საყურადღებოდ, რომ ვინც თავის დროზე, ესე იგი, წინდაწინ ფულს არ გამოგზავნის, მას აუცილებლად მოესპობა გაზეთის გზავნა და აგენტურა სხვა პირს გადაეცემა.

„დროების", „ჩანგის" და „ზაკავკაზიეს" რედაქციები.

(5—4) **აგენტურის გამგე მ. გაჩეჩილაძე.**

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Т-во „Сорапанъ", М. Гачечиладзе.

რეალური სასწავლებელი ოზურგეთში

ამა წლის სექტემბრიდან ქალაქ ოზურგეთში უნდა დაარსდეს რეალური სასწავლებელი. საზოგადოებებმა თანხმობა გამოაცხადეს შემოიტანონ 60.000 მანეთი სასწავლებლის ასაშენებლად და 10.000 მანეთი პირველ მოსაწყობად, რომლის შეკრებას საზოგადოებანი უკვე შეუდგნენ. ეს თანხა სასწავლებლის სავსებით მოსაწყობად არ არის საკმაო. ამისათვის, მთელი გურიის წარმომადგენელთა კრების წინადადების თანახმად, სამაზრო სასკოლო კომისიამ დაადგინა, მიიღოს შემოწირულებათ იმ პირთაგან, რომელთაც სურვილი განაცხადეს და აწ განაცხადებენ დაეხმარნენ გურიაში რეალურ სასწავლებლის აღორძინებას.

წარმომადგენელთა კრების და სამაზრო სასკოლო კომისიის დადგენილების თანახმად, შემოწირული ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით:

Въ г. Озургеты, Городскому Старостѣ Бебуришвили для врученія казначею по реальному училищу кн. Димитрію Константиновичу Эристову. (10—9)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—10)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** დროებით ქალაქიდან გავიდა. ავადმყოფების მიღებას ენკენისთვის პირველიდან განაახლებს. (10—8)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი [illegible]—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუხოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—16)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 115,

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—199)

ექიმი ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7. კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—33.—16)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოჟოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—66)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ღამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—113)

კაბინეტი კბილის საექიმო **ა. ა. თათევოზოვი**

(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიხერისა) რაზიეზჯაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—14)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—6.—22)

იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები**, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოღლოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—15)

გამოცდილი

მასწავლებელი

(რუსი) ეძებს გაკვეთილებს. ამზადებს ყველა საშუალო სასწავლებელში. სპეციალურად—ლათინური და რუსული. ადრესი დასტოვეთ „დროების" რედაქციაში. (8—5.—7)

ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ივლისი.

თეირანი. დააპატიმრეს არტილერიის უფროსი მეჯდ-უდ-დოულე, თეირანის ყოფილი პოლიცმეისტერი სერდარ-აფხამი და სამი მუშტეიდი. სამართალში მისცეს ფინანსთა მინისტრად ნამყოფი კოკვამ-უდ-დოულე, რომელმაც ჯოხით სცემა მასთან მისულ კაცს. ამ კაცმა კოკვამ-უდ-დოულეს ფული მოსთხოვა. ჩამოახრჩეს სანი-ხაერეტი, მილიციის უფროსი. ეს მილიცია შაჰის ბრძანებით შესდგა და შაჰის ჯარს შველოდა. დახვრიტეს თეირანის ყოფილი ვიცე-გუბერნატორი, მუფახარულ-მულკი. მუშტეიდ შეიხ ფაზულლას სიკვდილით დასჯა გადადეს, რადგან დღეს სელიაიმია

თეირანი. მართალი არ არის რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილი ზოგიერთი ცნობა. სპარსეთის ახალი მთავრობა სრულებითაც არ უყურებს მტრულად რუსეთის მთავრობას, რევოლიუციონერებს შორის დაარსდა პარტია, რომელიც ეცდება ხელი შეუწყოს სპარსეთ-რუსეთის დაახლოვებას. თეირანის კომიტეტმა პროვინციის ენჯუმენებს ბრძანება დაუგზავნა, რუსეთის საწინააღმდეგოდ აგიტაცია შესწყვიტეთო. არავის აზრად არა აქვს ყაზახთა ბრიგადის გაუქმება, ყაზახთა ბრიგადა წინანდებურად მსახურობს და ახალ მთავრობის ნდობით არის აღჭურვილი.

თეირანი. 18 ივლის სახელმწიფოების ელჩებმა სულთან-ახმედ-შაჰს ტახტზე ასვლა მიულოცეს. მილოცვის შემდეგ ელჩები მიიღო რეგენტმა აზიდ-ულ-მულკიმ.

20 ივლისი.

თეირანი. ქალაქის მოედანზე ჩამოახრჩეს შეიხი ფაზლულლა.

თავრიზი. თავრიზის პოლიციელნი აღელვებულნი არიან. მიზეზი—ჯამაგირის მიუღებლობაა. პოლიციელები საიდუმლოდ კრებებს მართავენ. მოლლა გურპანელის აგიტაციამ გასჭრა და დაიწყო არეულობა სეპეხდარის პარტიის წინააღმდეგ. ეს რამდენიმე დღეა ხმა დადის, რომ ვაჯადაგის და მაქოს ხანებს განზრახვა აქვთ თავიანთის ცხენოსნებით თავრიზში ჩამოვიდნენ და თავიანთი ნათესავები და მათი ქონება დაიცვანო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სპარსეთის სამღვდელოება.

სპარსეთის სამღვდელოება იყოფა ორ ჯგუფად: უმაღლესი ანუ ნეჯეფის სამღვდელოება და ადგილობრივი უმაღლესი სამღვდელოება იმყოფება ნეჯეფში, ოსმალეთში. სპარსეთის ადგილობრივი სამღვდელოება უმაღლეს ემორჩილება ნეჯეფის სამღვდელოებას. თუ სპარსელ მოლას უნდა მუშტეიდობის (უმაღლეს სამღვდელო ხარისხია) მიღება, მან სწავლა უნდა დაასრულოს ნეჯეფის მუშტეიდებთან და მათგან მოწმობა აიღოს. როგორც უმაღლესი, ისე ადგილობრივი სპარსელი სამღვდელოება სრულიებით არა ემორჩილება სპარსეთის მთავრობას და არავითარ განსაზღვრულ ჯამაგირს არ იღებს მისგან. უმაღლესი სამღვდელოება არა დროს არა სცნობდა შაჰის დესპოტიურ რეჟიმს, თითონ შაჰს ყასებს (უზურპატორს, უკანონო, ძალით ხელმწიფეს) და ჯაბერს (მტარვალს) ეძახდა და ამტკიცებდა, რომ ყორანის ძალით მუსულმანთა მმართველი არჩეული უნდა იყოს და არა მემკვიდრეობითი და ამასთანავე შესაფერი სულიერი თვისება და სწავლაც უნდა ჰქონდესო.

ნეჯეფის მუშტეიდები სპარსეთის რევოლიუციის დაწყებამდე თითქმის არავითარ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ სპარსეთის შინაგან ცხოვრებაში. ისინი ასწავლიდნენ მხოლოდ მუსულმანურ ღვთის-მეტყველებას და მუსულმანურ კანონებს. სამაგიეროდ ადგილობრივი სპარსელი მუშტეიდები დიდ როლს თამაშობდნენ ხალხის ცხოვრებაში. ესენი იყვნენ ხალხის სულიერი მოძღვრები, მოსამართლეები (სპარსეთში პირველ მეჯლისამდე სასულიერო სასამართლო არსებობდა) და მასწავლებლები იმ აზრით, რომ ხალხზე განსაკუთრებული გავლენა შეენარჩუნებინა, სამღვდელოება მთელის თავის ძალითა და ღონით ცდილობდა, რომ ხალხი უვიცობიდან არ გამოსულიყო. ამის გულისათვის სამღვდელოება არავითარ ღონისძიებას არ ერიდებოდა. ხოლო სპარსეთის საერო მმართველები მუდამ ცდილობდნენ სამღვდელოებასთან მეგობრობას. უხვი საჩუქრებით ისინი ქრთამავდნენ მუშტაიდებს და მათთან ერთად სცარცვავდნენ ხალხსა. რევოლიუციამდე მუშტეიდებს აშკარად არ გამოუდვიათ თავი ხალხის ინტერესების დასაცველად; მხოლოდ ათასში ერთხელ გამოჩნდებოდა ხოლმე მუშტაიდებში ისეთი პატიოსანი კაცი, რომელიც მმართველობის საჩუქრებსა და ქრთამებს არად აგდებდა და დაჩაგრულ, გაღატაკებულ ხალხის დასაცველად ხმას ამოიღებდა ხოლმე.

ნასრ-ედინ-შაჰის მეფობიდან სპარსეთში ფეხი შესდგა ევროპის განათლებამ და ხალხმა თან-და-თან შეიგნო, რომ მთავრობასთან ერთად სამღვდელოებასაც დიდი წილი უდევს მის გაჭირვებასა და გაღატაკებაში. მუშტეიდებს ცოტა არ იყოს სახელი გაუტყდათ, მაგრამ მათი გავლენა კიდევ იმდენად ძლიერი იყო, რომ ისეთმა მძლავრმა რეფორმატორმა, როგორიც იყო ჰაჯ-მირზა-ჰუსეინ-ხანი, ვერც ერთი რიგიანი რეფორმა ვერ განახორციელა სამღვდელოების წინააღმდეგობის მიზეზით. ნასრ-ედინ-შაჰის სამჯერ მოგზაურობამ ევროპაში, სპარსეთის ვაჭრობის გაძლიერებამ დასავლეთ ევროპასთან და პროგრესისტ სპარსელების აგიტაციამ ხელი შეუწყეს სპარსელ ხალხის გონებით განვითარებას, მონასტრების მტაცებლობა და სამღვდელოების უსამართლობას უკმაყოფილებასა და სამდურავს იწვევს ხალხში.

მუზაფერ-ედინ-შაჰის დროს სპარსელებს აღარ უკრძალავდნენ საზღვარ-გარედ წასვლას და ევროპიულმა მეცნიერებამ თან და თან გზა გაიკაფა სპარსეთში. მაშინდელმა პირველმა მინისტრმა ემინედ-დოულემ გახსნა საკუთარი სკოლა, ევროპიულ სკოლების მსგავსად და მოინდომა რეფორმების განხორციელება, მაგრამ შაჰის კამარილიამ და სამღვდელოებამ ხელი შეუშალეს. მიუხედავად ამისა, თეირანში მალე დაიწყეს სკოლების გახსნა, გაზეთების გამოცემა, წიგნების ბეჭდვა. მუზაფერ-ედინ-შაჰის მიერ ვალის აღება რუსეთისაგან, მისი ქეიფები საზღვარგარედ, პირველ მინისტრის ემინეს სულთნის მიერ ფულების ფლანგვამ, სპარსეთისთვის საზარალო სადამოჟნო ხელშეკრულობამ და ბელგიასთან სავაჭრო შეთანხმებამ, რომელიც სასარგებლო არ იყო სპარსელებისა და სომხებისთვის, მოხელეების მტაცებლობამ და მექრთამეობამ გააძლიერა ხალხის უკმაყოფილება და დაუმზადა ნიადაგი რევოლიუციას.

სამღვდელოება შეშინდა, მთლად სახელი არ გამიტყდეს და გავლენა არ დამეკარგოსო, და ტაქტიკა შესცვალა, აშკარად ბრძოლა დაიწყო შაჰის წინააღმდეგ და მეჯლისის დაარსება მოითხოვა. აღელვებული ხალხი მხოლოდ საბუთს-ღა ელოდებოდა, რომ შაჰის წინააღმდეგ აშკარად აჯანყებულიყო. საბუთმაც არ დაიგვიანა. შაჰის ჯარის-კაცებმა დღისით-მზისით თეირანში მოჰკლეს ერთი სეიდი (მაჰმადის ჩამომავალი) და სწორედ ამ მკვლელობამ წაუკიდა სპარსეთს ის ცეცხლი, რომლისაგანაც ამას წინად დაიღუპა მამედ-ალი-შაჰი.

სამღვდელოებამ ფეხზე დააყენა მთელი თეირანი. მუშტეიდებს—სეიდ-მამედისა და სეიდ-აბდულას მეთაურობით სამღვდელოება, ვაჭრები და ხელოსნები შეიკრიბნენ ჯემჩეს მეჩითში და მოითხოვეს პირველ მინისტრის ეინუდ-დოვლეს დაუყოვნებლივი დათხოვნა და დაპირებულ მეჯლისის დაარსება. ნეჯეფის მუშტეიდებმაც დეპეშით დალოცეს ხალხის წმიდა ბრძოლა შაჰის წინააღმდეგ. ამ დეპეშამ ისე გაამხნევა სამღვდელოება, რომ ვეღარც ეინუდ-დოვლეს მუქარამ, ვეღარც გამოჩენილ ორატორების და მოღვაწეების დაპატიმრებამ და განდევნამ ვერ შეაშინეს სამღვდელოება. მთავრობამ ალყაც შემოარტყა იმ მეჩითს, რომელშიაც სამღვდელოება იყო შეკრებილი, მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ გასჭრა, ვერც ამან გააჩუმა სამღვდელოება, მუშტეიდებმა თეირანი მიატოვეს და ქალ. კუმისკენ გაემართნენ. სწორედ ამ დროიდან იწყებს სპარსეთის ხალხი აშკარა ბრძოლას თავისუფლებისთვის. რეაქციონერი მუშტეიდებიც იძულებულნი იყვნენ პროგრესისტ მუშტეიდებს მიმხრობოდნენ ეინუდ-დოვლეს სასტიკობის და მის ჯარისგან შეწუხებული თეირანელები შეიხიზნენ ინგლისის საელჩოში და მოითხოვეს მუშტეიდების თეირანში დაბრუნება. ინგლისის საელჩოში შეკრებილ ხალხს სპარსელი პროგრესისტები უქადაგებდნენ კონსტიტუციონურ იდეებს და გააცნეს ევროპიულ სახელმწიფოთა წესწყობილება. ხალხი შეეკითხა ნეჯეფის მუშტეიდებს, კონსტიტუცია ხომ არ ეწინააღმდეგება ისლამის სჯულსო. მუშტეიდებმა

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9 (უ)

ტარალოვის ქარხნის უფროს ოსტატად ნამყოფმა

ამხანაგითურთ გახსნა ახალი ქარხანა თუჯისა და თითბრის ჩამოსასხმელი.

შეკვეთილი სამუშაო სრულდება ჩქარა და კეთილ-სინიდისიერად.

ადრესი ელისაბედის და აბასთუმნის ქუჩების კუთხე, № 2. ერასტო წულაძე. (2—375—2)

ქ. ფოთში

ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

ი-ზ-ა-ნ-ე-ბ-ა

ქალთა კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვა-და-სხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების ნასიამოვნოდ, ყველასათვის ხელმისაწვდომია. (10—ფ.—7)

უპასუხეს, რომ კონსტიტუცია არა თუ არ ეწინააღმდეგება, პირ-იქით სრულიად ეთანხმება ყორანსაო..- შაჰმა ეინუდ-დოვლე დაითხოვა, ხელი მოაწერა კონსტიტუციას და მთელი სპარსეთი შეუდგა პირველ მეჯლისის დეპუტატების არჩევას. მუშტეიდები დიდის ამბით დაბრუნდნენ თეირანში და დიდი მონაწილეობა მიიღეს მეჯლისის არჩევნებში.

მას აქეთ სპარსეთის სამღვდელოებას აღარ უღალატნია კონსტიტუციისთვის, რასაც მოწმობს მთელი მისი მოქმედება მამედ-ალი შაჰის ტახტიდან ჩამოგდებამდე.

მეჯლისის განადგურების შემდეგ მამედ-ალი-შაჰი ძლიერ ეცადა ნეჯეფის მუშტეიდები თავისკენ მიემხრო, მაგრამ ვერ მოახერხა. ნეჯეფის მუშტეიდებმა შაჰი ურწმუნოდ და ისლამის მტრად გამოაცხადეს და თითონ იგი და მისი მომხრეები დასწყევლეს. სტამბოლში დაარსდა სპარსელთა ენჯუმენი „სეადატი", რომელიც მთელს სპარსეთში ავრცელებდა ნეჯეფის მუშტეიდების ბრძანებათა ხელით გადაწერილ და ფოტოგრაფიით გადაღებულ პირებს, ნეჯეფის მუშტეიდებმა გამოსცეს შემდეგი უმთავრესი ბძანებები, რომლებსაც ხალხი წმიდად სთვლის: შაჰისა და მის მომხრეების შეჩვენება, ჯაჰადი (წმინდა ომი) შაჰის წინააღმდეგ, ლოცვა-კურთხევა სათარ-ხანსა და თავრიზელ რევოლიუციონერებს; მოთხოვნა პირველ მეჯლისისა და ძირითად კანონების აღდგენისა; ბრძანება, რომ შაჰისთვის გადასახადები არავის მიეცა; არც ერთი სპარსელი არ უნდა დაემორჩილოს შაჰის მიერ დანიშნულ მოხელეებსა და კონსულებსო.

ამას გარდა, ნეჯეფის მუშტეიდებმა ოფიციალური ქაღალდი ჩააბარეს ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს სტამბოლში, რომ სპარსეთის სამღვდელოება და ხალხი უკანონოდ სცნობენ ყველა იმ ფულის სესხსა, რომელიც შაჰმა მეჯლისის განადგურების შემდეგ აიღო; ამასთანავე მუშტეიდები ითხოვდნენ, რომ შაჰისგან გირაოდ არავის არ მიეღო მისი ქონება, რადგან იგი ეკუთვნის მთელ ხალხს და არა შაჰსაო. სპარსეთის რევოლიუციის მეთაურები, რომლებსაც ხელში ჰქონდათ ეს წმინდა ბრძანებები, თამამად მოქმედებდნენ შაჰის წინააღმდეგ. (რ. ვ.)

ლიახოვი მიდის.

ლიახოვმა ყაზახთა ბრიგადის უფროსობა გადასცა პოლკოვნიკ გლაზოვს. (ბ.)

„ნოვ. ვრემია"-ს კორესპონდენტი.

სპარსეთის ახალმა მთავრობამ გარეშე საქმეთა მინისტრის საშუალებით მოსთხოვა რუსეთის საელჩოს, შესაფერი ღონისძიება მიიღეთ „ნოვოე ვრემ."-ს კორესპონდენტის იანჩევეცკის წინააღმდეგ და თუ საჭირო იქნება, სპარსეთიდანაც კი განდევნეთ. რადგან იანჩევეცკის მუდამ ამახინჯებს ფაქტებს და სპარსეთის შესახებ ცრუ ცნობებს ავრცელებსო.

ამას გარდა სამხედრო მანისტრის თანაშემწემ მუიზუ-სალთანემ და უმაღლეს კომისიის წევრმა ესტადარსალტანემ ინახულეს „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტი და სთხოვეს, შეატყობინეთ რუსის საზოგადოებას, რომ სპარსეთის ეხლანდელი რადიკალური მთავრობა მეგობრულად უცქერის რუსეთსა და იანჩევეცკის მიერ გავრცელებული ცნობები, ვითომ სპარსელებს რუსეთი სძულთო, ცოცხალი ტყუილიაო.

მაჰმედ-ალი არა სცხრება.

თეირანის პოლიციის უფროსმა ეფრემმა ხამადანში მოგზაურობის დროს, ხელში ჩაიგდო მრავალი საბუთი, რომლებიდანაც აშკარად ჩანს, რომ ტახტიდან ჩამოგდებული მამედ-ალი გულ-ხელ დაკრეფილი არა მჯდარა. მას არა თუ ხელი არ აუღია, პირიქით უფრო გაუძლიერებია და გაუფართოვებია ინტრიგები ახალ მთავრობის წინააღმდეგ და უფრო დიდი მიწერ-მოწერა გაუმართავს „ჭეშმარიტ-სპარსელებთან".

ერთ წერილში მაჰმედ-ალი სწერს თურმე რეაქციონერ შეიხ-აბდულას: საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ სპარსეთში დავრჩე „ერთი წლით კიდევ მაინცო".

სხვა წერილში ირანის ბძანებლად ნამყოფი შემდეგსა სწერს: „მატყობინებენ, რომ ჩემს მეგობრებს არ დავვიწყებივარ; ამიტომ ხელახლად სულით ავმაღლდი და დარწმუნებული ვარ, რომ გვირგვინს ისევ დავიბრუნებ".

ერთ-ერთს ნაპოვნ წერილში შაჰად ნამყოფი სწერს: „ჩემმა ერთგულმა ყმამ და მეგობარმა ბაგადურჯენგმა მირჩია რომ ევროპიელთა დახმარებაზე უარი არ ვსთქვა და მეც უკვე რამდენიმე წერილი გავგზავნე საზღვარ გარედ. ეხლა პასუხს ველი".

შაჰის ძვირფასი ნივთები.

უმაღლესმა კომისიამ მამედ-ალისგან ჩაიბარა დიდ-ძალი ბრილიანტი, მარგალიტით ნაკერი ხალათი, განთქმული დიდი ბრილიანტი, შაჰის ბრილიანტის ეპოლეტები და ძვირფას ქსოვილის ძველებური სამოსელი. ეს ნივთები ჩააწყეს ზანდუკებში, ფურგუნზე დაუდვეს და რუსეთის საელჩოდან ახალ შაჰ-ს სასახლეში წაიღეს.

ახალ შაჰის აღმზრდელი.

ახალ შაჰის აღმზრდელი კაპიტანი კონსტანტინ სმირნოვი ყმაწვილი კაცია, დაბადებულია 1878 წელს. ტფილისის კორპუსისა და საარტილერიო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მან დაიწყო სამსახური არტილერიაში ქალ. მინსკში; შემდეგ მან დაასრულა აღმოსავლეთ ენების კურსები და კავკასიის სამხედრო შტაბში ჩაირიცხა. 1907 წელს სმირნოვი, რუსეთის ელჩის რჩევით, შაჰმა მიიწვია თავის მემკვიდრის აღმზრდელად სამი წლის ვადით და ჯამაგირად წელიწადში 6 ათასი მანეთი დაუნიშნა. ტახტიდან ჩამოგდების წინა დღეებში მამედ-ალიმ ეს პირობა განაახლა და სმირნოვი კიდევ სამის წლით დატოვა თავის შვილის აღმზრდელად.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

19 ივლისი

რევოლიუციონური მოძრაობა ესპანიაში.

მადრიდი. ფიგერასში წესიერება აღადგინეს. დააპატიმრეს 22 კაცი, ზოგიერთები საზღვარ-გარედ გაიქცნენ. არაგონიაში ხალხი რევოლიუციონერებს არ მიემხრო. სარაგოსში გაფიცვამ უშედეგოდ ჩაიარა, რადგან მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღო. მადრიდში სრული მშვიდობიანობაა. მთავრობამ დაჰხურა სახალხო სახლი. დააპატიმრეს სოციალისტურ პარტიის მეთაური პაბლო იგლესიასი და სხვები, რომელნიც გაფიცვას აწყობდნენ.

პარიზი. პერპინიანიდან იუწყებიან, რომ ბარსელონის კომენდანტის სიტყვით ქალაქში წესიერება აღადგინეს. ჰავასის სააგენტოს ბარსელონიდან ატყობინებენ: ჯარმა, რიცხვით 8,000 კაცმა, წესიერება აღადგინა. იმედი აქვთ, რომ თუ ჯარი გაძლიერდა, ქალაქში სრული მშვიდობიანობა დამყარდება.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფს" ბარსელონიდან საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს: „15 ივლისს რევოლიუციონერებმა მოჰკლეს რამდენიმე ათი მღვდელი და მონოზანი; ზოგიერთი ამათგან პირდაპირი საკურთხეველზე დახოცეს. ზოგიერთმა მღვდელმა რევოლიუციონერებს წინააღმდეგობა გაუწია. რევოლიუციონერებმა ქალაქის ზოგიერთ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. ქალაქი იწვის. ხალხი „წითელი ჯვრის" საზოგადოების ეტლებს ნებას არ აძლევდა მონასტერში შესულიყვნენ და დაჭრილ დახოცილნი წაეყვანათ. ბევრი მონოზანი ცეცხლში გადააგდეს და დასწვეს. არავის არა შველოდა დასაღუპად გამზადებულებს. მოკლულ იქნა 124, დაჭრილი—800 კაცზე მეტი. ყველგან „წითელს ჯვრის" რაზმები მოქმედებდნენ. რევოლიუციონერები რიცხვით 10,000 კაცი ქუჩებში დაიარებოდნენ, მარსელიოზას მღეროდნენ და თან შუბებით თავიანთ მსხვერპლების თავები და ტანის სხვა ნაწილები დაჰქონდათ. გენერალ-კაპიტანმა ვერ გაჰბედა და ჯარს ვერ უბრძანა ესროლა, თუმცა რევოლიუციონერები ჯარის გვერდით დადიოდნენ".

სხვა ცნობებიდან, რომელიც „დეილი-ტელეგრაფმა" გენუიდან მიიღო, სჩანს, რომ რევოლიუციონერებს და ჯარს შეტაკება მოსვლიაო. ორთავე მხარეს დაუკარგავს 1000 კაცი, ქუჩებში საშინელი ამბები ხდებოდა. ჯერ კიდევ სამშაბათს, 14 ივლისს, ქუჩები სავსე იყო მოკლულთა და დაჭრილთა გვამებით.

ოსმალეთი

სტამბოლი. გაზეთ „ტიურკის" თანამშრომელი დიდ ვეზირ ხილმი-ფაშასთან იყო. ხილმი ფაშამ გაზეთის თანამშრომელს უთხრა: ტყუილია ის ხმა, ვითომ ჩვენ სამთა კავშირში შესვლა გვინდოდეს და უკვე მოლაპარაკება გაგვემართოს. ოსმალეთი არც ერთ კავშირში არ შევა და დამოუკიდებლად იმოქმედებს. ოსმალეთი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს შინაურ საქმეებს, ფლოტისა და ჯარის გაძლიერებასაო.

საზღვარ-გარედ.

ულმი. დილის 5¼ საათზე გაფრინდა ჰაეროსტატი „ცეპელი მეორე". ჰაეროსტატი გაფრინდა მაინის ფრანკფურტისკენ. ფრიდრიხსგაფენიდან ჰაეროსტატი გაფრინდა ნაშუადღევის 3 საათსა და 40 წუთზე.

ბერლინი. კოლფის სააგენტოს ტოკიოდან ატყობინებენ: გაზეთ „კოკუმინ"-ში ოფიციოზური წერილია დაბეჭდილი. წერილში. სხვათა შორის. სწერია: მოსალოდნელი, რომ იაპონიამ ჩინეთთან დიპლომატიური დამოკიდებულება მოსპოს ჯერ არავის ვერ შევთანხმდით არდუნ-მუკდენის რკინის გზის შესახებ, თუმცა ამ საქმის რიგიანად გადაწყვეტას თხოულობს იაპონიის უფლება და მისი საერთა-შორისო მდგომარეობაო.

პარიზი. დილის გაზეთები სიხარულით აღნიშნავენ ხელმწიფე-იმპერატორს და პრეზიდენტ ფალიერის მომავალ შეხვედრას. გაზეთების სიტყვით, არც ერთ დროს მშვიდობიანობის დასაცავად ისე საჭირო არა ყოფილა ინგლისის, რუსეთის და საფრანგეთის კავშირი, როგორც ეხლა.

მაინის-ფრანკფურტი. ჰაეროსტატი „ცეპელენ მეორე" მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე. ხალხი აღტაცებით მიეგება ცეპელენს.

ნიუ იორკი. მექსიკაში ზოგან მიწა იძრა. მიწის-ძრამ დიდი ზიანი მიაყენა მცხოვრებთ. ქალაქ აკულკას ნაწილი დაინგრა. დაიღუპა ბევრი ხალხი.

ლონდონი. შოტლანდიის ქვა ნახშირის მაღაროების მუშები და პატრონები შეთანხმდნენ. ამ შეთანხმების ძალით სამი წლის განმავლობაში თვითეულ მუშას დღეში სამ მანეთზე ნაკლები არ უნდა მიეცეს.

კოპენჰაგენი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, სამსახურიდან გადადგეს. მეფემ შეიწყნარა სამინისტროს სურვილი, მხოლოდ სთხოვა, დროებით დარჩეს.

ტოკიო. მანჯურიიდან იუწყებიან: მთელ მანჯურიაში დიდი წყალ-დიდობაა. დაიხრჩო 1000 კაცზე მეტი. გირინში წყალმა სულ დაჰფარა 7000 სახლი, წყალს თანდათან ემატება. ოსაკიდან დეპეშით იუწყებიან: ქალაქს ცეცხლი უკიდია, უკვე დაიწვა 1000 სახლამდე, მათ შორის, ბუდდა, ცნობილი ტაძარი. დაიღუპა ბევრი ხალხიო.

ვენა. პრაგის სასამართლომ დაამთავრა ანტიმილიტარისტების საქმე. სამართალში მიცემული იყო 57 კაცი. სასამართლომ 11 ბრალდებულს გადაუწყვიტა სატუსაღო [illegible] თვიდან 5 თვემდე, 35 გაამართლა, 7 კაცს დაუმტკიცდა, რომ ისინი ჯარის-კაცებს აღელვებდნენ და 4 კაცს, რომ მათ მეფე შეურაცხყვეს.

მექსიკა. 18 ივლისის მიწის-ძვრამ ქალაქს მცირე ზიანი მიაყენა, დაბა ჩილ პანანგოში რამდენიმე ალაგას გასქდა ადგილობრივ საკათედრო ტაძრის კედლები. ჩილაპაში დაინგრა სახლები, დაიღუპა რამდენიმე ასი კაცი. მიწის-ძვრამ დიდი ზარალი მიაყენა აგრეთვე იგუალის, გუერეროს შტატის მცხოვრებთ. ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა.

აკაპულკი. ზღვის ნაპირას თითქმის ყველა სახლი დაინგრა.

ვერაკრუცი. სხვა-და-სხვა ადგილიდან იუწყებიან, რომ მიწის-ძვრამ დიდი ზარალი მოგვაყენაო.

ნიუ-იორკი. შეერთებულ შტატების სენატმა ჩინეთსა და სამხრეთ ამერიკას შორის ვაჭრობის გასამტკიცებლად გადასსდო 100,000 დოლარი,

მევსიკა. 18 ივლისს. ნაშუადღევს, ხელმეორედ იძრა მიწა. ამ მიწის ძვრას ზარალი არ მოუტანია.

ოსაკა. 18 ივლისს, როგორც იყო, ჩააქრეს ცეცხლი. დაიწვა 13, ათასი სახლი.

ვაშინგტონი. დეპუტატთა პალატამ მიიღო სატარიფო კანონ-პროექტი.

რუსეთი

პოლტავა. დიდმა ქარიშხელმა შეაჩერა ტელეგრაფია მუშაობა, დასწყვიტა მავთულები, დაღუპა აუარებელი შინაური ფრინველი. ქარიშხალმა მდინარეზე გადააბრუნა ნავი. ერთი დაიხრჩო.

სიზრანი. სოფელ კანადეიახში დაიწვა 126 სახლი. ფოსტის განყოფილება და არყის დუქანი.

იაროსლავლი. 15 ივლისს მთელ გესტონიაში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. გაფუჭდა ნათესი, ბოსტნები და ბაღები. ზოგიერთ მაზრაში ქარიშხალმა სახლების სახურავები დანგრია და ხეები ძირიანად დაჰგლიჯა.

პეტერბურგი. ურალის ოლქში შავ ჭირთან საბრძოლველად გაიგზავნა სამი ექიმი და შვიდი ფერშალი.

ხაბაროვსკი. 17 ივლისს გამოირკვა, რომ უცნობებს სახელმწიფო ბანგის ხაბაროვის განყოფილების გაცარცვა ნდომებიათ. უცნობებს განყოფილების საკუჭნაოში შესულიყვნენ და იქ კედელის გასახვრეტად სამი დღე ემუშავნათ.

ხოლერა

პეტერბურგი. 18 ივლისს ხოლერით ავად გახდა 39, გარდაიცვალა 19, ავად არის 615 კაცი.

ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან

ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე).

(შემდეგი *)

ავიღოთ ეხლა მეორე ადგილი, სადაც ბუნების სიმშვენიერე და ამ სიმშვენიერით აღტაცებული მოხევე ერთ სურათს წარმოადგენენ.

„მშვენიერ გაზაფხულის დღეს, ბურსაჭირის ფერდობზედ ცხვარი თეთრად შეფენილიყო და ძოვნით ყინულიან წვერებისაკენ, სადაც ბატკნებს უნდა ეთამაშნათ, მიდიოდა ყმაწვილი მწყემსი, ახლად წვერ-ულვაშ აშლილი, გასულიყო მაღალ ქედზედ და იქიდან გასცქეროდა თავის „საყვარელ" პირუტყვებს.

„ქვევით ღელე ორსა თუ სამს ვერსზედ ვაკედ მიდიოდა და ზედ ანკარა მთის წყალი გველსავით მიიკლაკნებოდა.

„ბურსაჭირის მეორე მხარესაც ჯერ მწვანე ზურმუხტის ფერი ველიანი მისდევდა და თავდებოდა ზოგგან ჩონჩხებით, ზოგგანაც სიპი კლდეებით. აქა-იქ გადმოსჩქეფდა რძესავით თეთრი ნაკადულები, რომელნიც გაცოფებულს მხეცსავით ეცემოდა ჩამოლესილს კლდეებს და წვრილს ნამად იფრქვეოდა. წყნარი ნიავი იშვიათად ჰბერავდა და აგრილებდა მზისაგან გახურებულს ადგილებს. ერთს ადგილს, ლაჟვარდოვანს ცაზედ, გაჩერებულიყო ღრუბლის პატარა ნაჭერი, რომელიც ხან იკარგებოდა და ხან ისევ სხვა და სხვა გვარ სურათად გამოჩნდებოდა.

„ერთს ადგილს, ცის ტატნობაზედ, გამოჩნდა ბუზის-ოდნად შავი ნიშანი, რომელიც ცოტა ხანს უნძრევლად, გაშეშებულსავით იდგა.

„ცოტა ხანმაც გაიარა, შავი საგანი შეინძრა და ცაზედ აშკარად გამოჩნდა არწივის სახე, რომელიც წყნარის მაგრამ ძლიერის მოძრაობით დანავარდობდა. „მწყემსმა დაუწყო ყურება და შეშურდა ფრინველის თავისუფლება.

„**იმ წუთებში ბექიას,**—ასე ეძახიან მწყემსს—**ფრინველად გადაქცევა უნდოდა; ის არა კმაყოფილდებოდა თავის მდგომარეობით, ნატრობდა იმ ძალას, იმ მდგომარეობას, რომელსაც საშუალება მიეცა ყველგან, ყველგან, სადაც კი მოიწადინებდა, გაფრენილიყო, მისულიყო თავს დასცემოდა.**

„იმასა ჰსურდა—მისულიყო თავის სოფელში, ზევიდან მოეკრა თვალი თავის ციციასათვის, მოეტაცნა და წასულიყო ისე შორს, შორს, რომ კაცის ხმა ვერ მისწვდომოდა. ბექია ამ ფიქრებში იყო, როდესაც არწივი ერთბაშად დედამიწისაკენ შურდულივით დაეშვა და რაღასაც ძალზედ დაჰქროლა.

„მწყემსმა გაიხედა იმ მხარეს და დაინახა შეშინებული კურდღელი, რომელსაც ყურები დაეცქვიტა და გარბოდა ბუჩქებისაკენ, სადაც თავის შეფარებას აპირებდა.

„დაგერშილი არწივი, კურდღელს მოშორებით, თითქმის სრულად დაეშვა დედა-მიწაზედ და ისე გაჰქროლა თავის მსხვერპლისკენ, რომელიც წუთით-წუთზედ უახლოვდებოდა".

„აგერ წამოეწია, გაშალა კლანჭები და იმ წუთში, როდესაც წელში გავლებას უპირებდა, კურდღელმა „უქცია", გახტა გვერდზედ და აიცდინა არწივი, რომელმაც გამალებით გამო თავი ვეღარ დაიმაგრა და გაშორდა".

„**ბექია გატაცებით და გულისძგერით უყურებდა ამ სურათს, გულით შესტრფოდა ფრინველთ მეფის სიმარდეს, სიამაყით და მედიდურობით სავსე მოძრაობას, მაგრამ კურდღელიც ებრალებოდა, თანაუგრძნობდა იმის მდგომარეობას, იმიტომ რომ კურდღელი თუმცა „ბეჩავია", მაგრამ ისიც „ღვთის გაჩენილია"** (საზ ყველგან ჩვენია) „ამისთვის, როდესაც ბატარა პირუტყვი თავის მტარვალს გაუსხლტა, ქშენა-შეწყვეტილმა მწყემსმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა. „მაგრამ ბექიას სიხარული დიდ ხანს არ გაგრძელდა, რადგანაც არწივმა თავი შეიმაგრა, გადმოჰხედა ჩასისხლებულის თვალებით და, რა დაინახა კურდღელი, ისევ გამოეკიდა და უფრო გაბეცებულის სიკაპასით და სიჩქარით. ჩქარა წამოეწია თავის მსხვერპლს, რომელმაც ისურვა წინანდელი ეშმაკობის ხმარება, მაგრამ ჰაერში აფრენილი ძირს აღარ დაცემულა: არწივის კლანჭებმა წელამდე მაგრად ჩაავლეს და ისე ძალზედ მოუჭირეს, რომ დაკნავლებასთან ერთად სული ამოჰხდა, „თავმოწონებულმა არწივმა აიწია მაღლა, ამაყად გადმოჰხედა იქაურობას და მერე დაეშვა მიწაზედ, სადაც ძიძგნა დაუწყო—თავის ნანადირევს.

„ბექიამ გაიელო თოფს ხელი, წამოეპარა არწივს, გაუმიზნა და თავგახვრეტილი იქავე გააგორა,

—„ჰეე!.. ეგეც შენ! დაიძახა იმან და გადმოიტრიალა თოფი. [1])

ამ გვარადვე შეკავშირებულია ყაზბეგის მოხევე ბუნებასთან. იგი სრული თანამოზიარეა და თანამგრძნობი ბუნების მოვლენისა და მოქმედებისა. იქ ხარ-ჯიხვების თამამ-ბრძოლას შესტრფის და უკვირდება, ბუნების უძლეველ მოთხოვნილებათა შესახებ მაგრე იქცევიან ბუნების შვილნი, რა ღრმად სჯიან ამ მოთხოვნილებათაგან გამოწვეულს მოქმედებას. „ბრძოლა სიყვარულისათვის მათთვის თამაშია კეთილშობილებით აღსავსე და არა ბრძოლა ზიზღითა და კბილის ღრჭენით შეზავებული, როგორც ეს სჭირთ ადამიანის შვილებს. აქ არწივის ძლევა-მოსილ ნადირობას უცქერის, შეჰხარის არწივის ძალას და როგორც ბუნებასთან დაახლოვებულს, მას არწივი მოსწონს მედიდური და ძლიერი; „ბეჩავი" კურდღელი მარტო იმით იწვნეს მის სიბრალულს, რომ ისიც „ღვთის გაჩენილია", მაგრამ, თუ ამ ბრძოლაში ჩაერევა, არა მგონია იმიტომ, რომ კურდღლის „ბეჩაობის" გამოექომაგოს, თვით უნდა თავისი ძალი გამოიჩინოს და დასტკბეს მით, რომ არწივს, ამ მეფეს ფრინველთა სძლევს კაცი მეფე ბუნებისა.

ნუ გგონებათ, რომ ბუნებას კაცის შერევა აცხოველებს, სულს უდგამს. არა, ბუნება თვით ცოცხალია, ბუნებას თვით აქვს სული და გული, გრძნობა და აზრი. ყოველივე ნაწილი ბუნებისა მოძრაობს, მოქმედებს, ჰგრძნობს და ჰქმნის საერთოდ დიდებულს ჰარმონიას. ნახეთ, რა პანტეისტურის პოეზიით არის აღსავსე ეს სურათი:

„მზემ წვერი ამოყო და სუნჯის ტყის ფოთლები მოჰფინა ოქროს ფერად. **აქამდისინ გაჩუმებული ბუნება თითქოს ღიმილით მიეგება მოღიმიმე მნათობს, ყველა ცხოველი გრძნობდა, რომ ის ცოცხალია და მისთვის ეძლეოდა თავისუფალს მხიარულებას; თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეინძრნენ, გადაიშალნენ, იცვალეს მკრთალი ფერი და ღამის ნამით გამოღვიძებულნი, მსწრაფად გაცხოვლდნენ, რათა უმანკო სურნელთ ნაზად და კეკლუცად მზისკენ მიექციათ თავიანთი ნაზი სახე. გაუმაძღარი და შეუბრალებელი შუქი მოუსვენრად დაძვრებოდა ხლართულ ფურცლებ შუა, რათა თვალი შაეკრა იმათთვის და დამტკბარიყო სიამოვნებით.** წყარო ანკარა და წმინდა, როგორც ნამი, წყნარად ჩამოჩხრიალებდა და **უალერსებდა ერთმანეთის მოარშიყე ბუნების ქმნილებათ. მოუსვენარი ფუტკარი,** გამოსული დილის სამუშაოზედ, არ **კმაყოფილდებოდა ერთის ადგილით, იმას იზიდავდა სხვა და სხვა სურნელები** თავიანთის სიკეკლუცით და სინაზით, რომელნიც ათასფერად შეხამებულიყვნენ.

„ერთბაშად ამ საერთო ჰარმონიას შეუერთდა ხმელი წიწკების მტვრევის ხმა: აშკარადა სჩანდა, რომ რაღაცა სულდგმული გამოსულიყო ამ ადგილებში—უთუოდ იმასაც უნდოდა დამტკბარიყო ბუნების საერთო მოწყობილის მშვენიერებით. **ამისთვის იზრუნა ბუნებამ, ამისთვის ეცადა, ამისთვის შეამკო დედამიწა, რომ სულდგმულთ ყოველივე ნეტარებით ისიამოვნონ, ისარგებლონ**[2]).

ხომ ჰხედავთ, რომ ბუნებას სხვა და სხვა მოვლენის შორისაც იგივე მჭიდრო კავშირია, რაც ადამიანისა და ბუნების შორის. ბუნება ღიმილით ეგებება განმაცხოველებელ მნათობს, ყოველი ცხოველი სიცოცხლესა და თავისუფლებას შეჰხარის; ყვავილთ გულმკერდი გადაშალეს, რათა ხარბად დასწაფებოდნენ სიცოცხლის ძალას სხივებს მნათობისას; თვით მზის შუქი კი გამალებული გადადის ერთის საგნიდან მეორეზე, რომ ყველა უნაკლულოდ, სავსებით დააკმაყოფილოს; ყოველსავე ამაში კი გამოსჭვრივს ბუნების მზრუნველობა, ბუნების მეგობრული განწყობილება, ბუნების დედობრივი სიყვარული თავის ნაწილებისადმი; „ბუნებამ იმისთვის შეამკო დედამიწა,—გვარწმუნებს ავტორი,—რომ სულდგმულთ ყოველივე ნეტარებით ისიამოვნონ, ისარგებლონ".

ყოველს ნაბიჯზედ სჩანს ეს ბუნების თანაგრძნობა, კეთილი განწყობილება ადამიანის შესახებაც. მათიას, ელგუჯას ძმად გაფიცულს, გულში ელგუჯას სატრფო მზადოს სიყვარული ჩაუყარდება. ბუნების შვილი მოხევე სიყვარულის ძალას შეპყრობილი ჰყავს, საზოგადოებრივის აზრის შექმნილ ბორკილებს, ზნეობრივ მოსაზრებათა სასტიკ კანონებს ვერა გაუწევია რა ბუნების ფატალურ ძალის წინააღმდეგ იმის მეტი, რომ ადამიანისათვის ერთი მეტი სატანჯავი კიდევ გაუჩენია: სინიდისის ქენჯნა, უძლურება და უმწეობა სავსე

---

*) იხ. „დროება" N 159.

[1] „ახლციაცია" გვ. 631, 632.

[2] «მამის მკვლელი». გვ: 336, 337, ხაზი ყველგან ჩვენია.

რიგა. ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2 კაცი.

ვიტებსკი. ავად გახდა 19, გარდაიცვალა 11 კაცი.

არხიანგელსკი. ავად გახდა 2 კაცი.

ნოვოგოროდი. გასულ კვირაში მთელი გუბერნიაში ავად გახდა 32, გარდაიცვალა 18 კაცი.

პეტერბურგი. რადგანაც ქალაქ პოლოცკში ხოლერა ძალიან გავრცელდა, იქ გაიგზავნა ექიმი ფილარეტოვი. ფილარეტოვმა უნდა გამოიკვლიოს, ხოლერის გავრცელების მიზეზი და შეიმუშაოს ზომა მის მოსასპობად.

იაროსლავლი. გემზე ავად გახდა ერთი კაცი.

პეტერბურგი. 12 ივლისს ხოლერით ავად გახდა 51, გარდაიცვალა 22, ავად არის 514 კაცი.

არხანგელსკი. ავად გახდა 5, გარდაიცვალა 4 კაცი მაზრაში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 5 კაცი.

რიბინსკი. ავა გახდა 2, გრდაიცვალა 1 კაცი. სენის ხელმეორედ დაწყებიდან აქნობამდის ავად გახდა 40 გარდაიცვალა 17 კაცი.

პოლოცკი. 17 და 18 ივლის ავად გახდა 42, გარდაიცვალა 11 კაცი. სენის დაწყებიდან აქნობამდის ავად გახდა 401, გარდაიცვალა 103 ავად არის 186 კაცი.

ვლადიმერ ლორთქიფანიძის ხსოვნას.

ამბობენ, ცხოვრება ბრძოლაა არსებობისათვის. მართლაც, ბრძოლაა და სხვა არსებათა შორის ადამიანიც ჩაბმულია ამ ბრძოლაში. დაბადებიდანვე მრავალი დაბრკოლება უხვდება წინ და მასთან ბრძოლით ანვითარებს თავს და ჰპოულობს ძალას არსებობისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საყოველთაო კანონი ერთნაირად სამძიმო როდია ყველა ადამიანისათვის. ცხოვრების უკუღმართობის წყალობით ზოგს ერთ ტვირთად აწევს ზურგზე ეს ძალა და ზოგს ერთიორად. ჩვენ, ქართველები, ერთი იმ ერთაგანი ვართ სწორედ, რომელნიც ატარებენ უზომოდ მძიმე ტვირთს ბრძოლისას. ქართველი კაცი, გამოვა თუ არა ცხოვრების ასპარეზზე, თავიდანვე იძულებულია ებრძოლოს არა მარტო საყოველთაო დაბრკოლებას, არამედ იმ განსაკუთრებულ პირობათაც, რომელნიც შეუქმნია მისთვის უსამართლობას. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ ჩვენი მოღვაწე ხშირად ნახევარსაც ვერ მოიყვანს ხოლმე სისრულეში იმ გეგმისას, რომელიც მან დაისახა თავის ერთის საჭიროების მიხედვით; არ არის გასაკვირველი, თუ იგი უდროოდ ილალება, ილახება და სტოვებს ბრძოლის ველს ცოცხალი ან მკვდარი. რა გაეწყობა! თაკი აუცილებელია შრომა და დაბრკოლებასთან ბრძოლა ყველასათვის, ვისაც სიცოცხლე ჰსურს, ქართველმაც მოთმინება უნდა იქონიოს და იშრომოს მომავლისათვის. მომავალი აჯობებს აწმყოს. ყოველი ნაშრომი და ნაღვაწი საერო მიზნით განძია, მაგალითია სხვებისათვის. ვიწრო გზატკეპნილიც შესამჩნევად გაუადვილებს შრომას მომავალ მოღვაწეთა.

ეს ფიქრები მომგვარა ძვირფას ვლადიმერ ლორთქიფანიძის უდროოდ გამოსალმებამ ამ წუთი-სოფელთან. ა'ა დასცალდა მას ხანგრძლივი შრომა და სამსახური თავის ხალხისა, რისთვისაც მზად იყო სულითა და გულით. უღალატა მას ჯანმრთელობამ და უდროოდ მოიტაცა სიკვდილმა. განსვენებული პატარაობიდანვე დაბრკოლებას შეაჯახა ჩვენმა ფეხშეშლილმა ცხოვრებამ, და მსურს ვუამბო მკითხველს ეს შემთხვევა მისის ყმაწვილობის ერიოიდან.

1880 წელიწადი ქართული სკოლის დაარსების წელიწადია ქუთაისში, იმ სკოლისა, რომელსაც ახლა ქართულ გიმნაზიას ეძახიან და თავდაპირველად სათავად-აზნაურო მოსამზადებელ სკოლას ეძახოდნენ. გამოცხადდა თუ არა სასწავლებელი, მაშინვე ურიცხვი მსურველი მოაწყდა მის კარებს. ერთი მსურველთაგანი იყო ვლადიმერი. პატარა ვლადიმერი თავის გაშლილი პირის-სახით, რომელზედაც ბრწყინავდა რაღაც სასიამოვნო ღიმილი, და ფართო ცოცხალი თვალებით უნებლიედ იზიდავდა მხილველის ყურადღებას. რა იყო ის ღიმილი, რომელიც მოსდებოდა მთელს მის სახეს და რა შთაბეჭდილებას ახდენდა მისი თვალები? ღიმილი იგი იყო სიამოვნებით შეხვედრა სწავლის დასაწყისისა, ნიშანი მოახლოვებისა იმ წყაროსთან, რომელსაც უნდა ექლია სასმელი ცოდნის მოყვარეობის წყურვილის დასაკმაყოფილებლად, ხოლო თვალების სიღრმეში სჩანდა სულის უმანკოება, სიკეთე, მისი ნიჭი.

ჩაირიცხა სასწავლებელში. თანდა-თან უკეთ და უკეთ სწავლობდა ვლადიმერი, დღითი-დღე უფრო და უფრო მეტს ყურადღებას იქცევდა მასწავლებლებისას. სწავლა სულ არ ეძნელებოდა. ყოველს წელს დაუბრკოლებლივ გადადიოდა კლასიდან კლასში და სასიამოვნოდ მიგვაჩნდა ამისთანა მოწაფის ყოლა. მაგრამ ერთმა გარემოებამ უდროოდ მოგვწყვიტა ერთმანეთს, დაგვაშორა მასწავლებლები საყვარელს მოწაფეს. მისი მამა, ბეჟანი, რამდენისამე შვილის პატრონი იყო, რომელთა სწავლა და აღზრდა უმთავრეს საგნად მიეჩნია თავისათვის; არას ზოგავდა, რაც გააჩნდა, ოღონდ კი გზაზე დაეყენებინა იგინი. მას თურმე თხოვნა ჰქონდა მიცემული მთავრობისადმი ვლადიმერის მიღებისა ხაზინის ხარჯზე და ყმაწვილი ჩარიცხული ყოფილიყო კანდიდატად: როდესაც ჯერი მოუვიდოდა, დაუძახებდნენ და თუ ეგზამენს დაიჭერდა, ჩაირიცხებოდა პანსიონერად ქუთაისის გიმნაზიაში.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა თანდათან იზრდებოდა. საზოგადოების სურვილი იყო ეს სკოლა საშუალო სასწავლებლად გადაქცეულიყო, რომ იქ მეტი ყურადღება ჰქონოდათ მიპყრობილი მოწაფეებს და სწავლა-აღზრდა მისცემოდათ უფრო შეთანხმებული ნამდვილ პედაგოგიურ მოთხოვნილებასთან, ვიდრე მმართებლობის სასწავლებლებშია, სადაც რამდენისამე ხალხოსნობის შვილებს ერთმანეთში ურევენ ხოლმე და ყველას თავდაპირველადვე გაუგებარს ენაზე აწყებინებენ სწავლას. მოსამზადებელ კლასებს თანდათან უნდა მომატებოდა პროგიმნაზიული კლასები და მომავალში პროგიმნაზია სრულს გიმნაზიად უნდა გამხდარიყო.

მარიამობისთვის ოცი მოახლოვებულიყო. აუარებელი თხოვნა შემოდიოდა მსურველთაგან. თითო ვაკანსიაზე სამი-ოთხი მოდიოდა მსურველი და მშობლები გარს შემოხვეოდნენ ბუზებივით. ამ დროს ვლადიმერმა გამოჰყო თავი მთხოვნელთა ჯგუფიდან და მომანათა თავის დიდრონი თვალები.

— ლადო, შენ რადა გინდა? — ვკითხე მე. — რამდენი ხანია, შეკაცო, მიღებული ხარ და ახლა ხელმეორედ ხომ ველარ მიგიღებთ?

— არა, ბატონო, მე გიმნაზიაში უნდა გადამიყვანონ. გთხოვთ, მოწმობა მომცეთ, რომ აქ ვ'სწავლობდი.

— რატომ, ლადო, რათ გადადიხარ ჯერ გიმნაზიაში? მეოთხე კლასსა ეხსნით ამ პირველ ენკენისთვიდან, დარჩი აქ, პროგიმნაზია დაასრულე და, თუ მეხუთე კლასი არ გავხსენით, მაშინ გადადი გიმნაზიაში, მეხუთე კლასში.

— არა, ბატონო, კანდიდატად ვარ ჩარიცხული და ჯერი მოსულა ჩემზე. თუ ეგზამენი დავიჭირე, ხაზინის ხარჯზე მიმიღებენ პანსიონში. ეს კი საჭიროაო, მამამ მითხრა, შეძლება არა მაქვს ჩემის ხარჯით გამოგზარდოო.

ძალიან მეწყინა ეს ამბავი, მაგრამ რაღა გაეწყობოდა. კარგი-მეთქი, ვუთხარ, მოწმობასაც მოგცემ და ვეცდები, მეც დავესწრო გიმნაზიში გამოცდაზე, თუ ნება მომცა-მეთქი დირექტორმა. მოწმობა მივეცი და წავიდა. მამა მისი მისულიყო გიმნაზიაში და განეცხადებინა, ჩემი შვილი მეოთხე კლასისთვის გამოსცადეთ, რადგან სამი კლასი უკვე დაასრულა სათავად-აზნაურო სკოლაშიო.

უნდა მოგახსენოთ, რომ სათავად-აზნაურო სკოლის გახსნა არაფრად ეპიტნავად ქუთაისის ზოგიერთ მოხელე პედაგოგებს, რომელნიც მმართებლობის სასწავლებელში მსახურებდნენ იმ ჟამად. იგინი ჩვეულნი როდი იყვნენ საზოგადოების თაოსნობას და თვით-მოქმედებას საზოგადოებრივ საქმეებში. მათის აზრით, სასწავლებელი მხოლოდ მაშინ წავიდოდა კარგად, თუ მოხელე კაცების ხელში იქნებოდა და არა საზოგადოების მიერ არჩეულთა ხელში. განსაკუთრებით ის არ მოსწონდათ, რომ ახლად დაარსებულ სასწავლებელში სწავლის უმთავრეს საფუძვლად სამშობლო ენა იქნა ცნობილი და სამშობლო ენაზე სწავლება საგნებისა მოსამზადებელ განყოფილებებში. პირველად კიდევ არაფერი იმდენი, სანამ მოსამზადებელ კლასის განყოფილებებსა ვხსნიდით, მაგრამ შემდეგ, როდესაც პროგიმნაზიის კლასების გახსნა დავიწყეთ, ერთბაშად იცვალეს სახე. რამდენი კლასიც ემატებოდა, იმდენი უფრო და უფრო იფხორებოდნენ მამალი ინდოურებივით, ბოლოს სულ გაიფუყნენ და მრისხანედ გვიყურებდნენ. თუ როდისმე ღიმილს შევამჩნევდით სახეზე, ის ღიმილი იყო დაცინვისა და დამუქრების ღიმილი, რომელშიაც ისმოდა: „რადა ხსნით მაგ კლასებს? სად წახვალთ ბოლოს და ბოლოს, ისევ ჩვენთან არ უნდა მოხვიდეთ უფლების მოსაპოვებლად? რა თავში იცემთ თქვენს კერძო პროგიმნაზიას!" არა თანამგრძნობელთ იმდენი ჰქნეს, რომ ბოლოს გიმნაზიის უფროსიც განარისხეს ჩვენზე. საყურადღებოა, რანაირად ბუზღუნობდნენ აქა იქ და რას გვისაყვედურებდნენ მოხელე პედაგოგები. რა ამბავში არიან ე სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებიო! ქალაქის მიდამოებში დადიან ექსკურსიებზე მოწაფეებითურთ, ამხანაგურად საუბრობენ მათთან და, წარმოიდგინეთ, ხანდახან საერთო თამაშობასაც კი ჰმართავენ და მასწავლებელნი და მოწაფენი ერთად თამაშობენო! ეგ რა წესია? ამის შემხედვარე დისციპლინას როგორღა დაემორჩილებიან ჩვენი გიმნაზიელებიო? ჩვენ რაღას გაგვიგონებენ და რაღად ჩაგვაგდებენო? ბატონი დირექტორი გიმნაზიისა, როდესაც სასწავლებელი გაიხსნა, კურთხევას დაესწრო და მოგვილოცა კიდეც სასწავლებლის დაარსება, მაგრამ იმ დროიდან ამ დრომდის საოცრად გამოიცვალა და არა სასურველის თვალით დაგვიწყო ცქერა. რა მოუვიდა, არ ვიცი. მით უფრო მიკვირდა ეს, რომ პირადად მისი პატივის მცემელი ვიყავი და ისიც, როგორც წინად, ეტყობოდა, პატივსა მცემდა. მაგრამ ნუ იტყვით, არის ხოლმე მდგომარეობა, როდესაც მოხელეს, თუ მტკიცე ხასიათისა არ არის, მარცხენა ხელით პირჯვარს დააწერინებენ და უკუღმა ალოცებენ. ის დრო იყო სასტიკი დრო. სამინისტრო ყველგან ცალის თვალით უყურებდა საზოგადოებას და მის მიერ დაწყებულ საქმეებს ხელს არ უწყობდა.

ალექსი ჭიჭინაძე.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **საქართველოს სამხედრო გზა.** „გო. მოს."-ში ვკითხულობთ: კავკასიის ადმინისტრაციასთან დაახლოვებულმა პირმა შემდეგი გადმოგვცა: „ამ ჟამად დაწვრილებით იკვლევენ კავკასიის მთაგრეხილის რკინის გზის საკითხს. სამხრეთ კავკასიას რუსეთის მარტო საქართველოს სამხედრო გზა უერთებს. ამ გზაზე მარტო დილიჟნები დადიან. თუ რკინის გზა იქმნა გაყვანილი, მაშინ გზა 900 ვერსით შემოკლდება. თუ არ ჩავთვლით ბათუმ-ნოვოროსიისკის გზას და ისიც ზღვით, რუსეთი კავკასიასთან მარტო ამ გზით არის შეერთებული. ის გზა თითქმის ასი წელიწადი არსებობს და ამ ხანში იმდენი ფული დაიხარჯა, რომ შეიძლებოდა იგი ოქროთი მოფენილიყო. საქართველოს სამხედრო გზაზე ხშირად ზვავი წვება ხოლმე. ზვავების ასაცილებლად აუარებელი ფული იხარჯება. აქ რკინის გზის გაყვანის საკითხი დიდი ხანია აღიძრა, მაგრამ რადგან იგი ძალიან რთულია და მილიონებსაც თხოულობს, აქამდის ვერ გადაუწყვეტიათ. შარშან უნდოდათ რენარის სისტემის მატარებლები შემოეღოთ, ე. ი. ავტომობილებით მიმოსვლა (ერთ ავტომობილს რამდენიმე ვაგონს უბამენ). ამისთანა მატარებელს ლიანდაგი არ უნდა და პირდაპირ გზაზე შეუძლიან მიმოსვლა, მაგრამ რენარის გარდაცვალების გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა. ელექტრონის რკინის გზის პროექტი უარჰყვეს, რადგან ამისთანა რკინის გზაზე ბევრი საქონლის გადატანა შეუძლებელია. ეხლანდელ პროექტის განხილვასა და შემუშავებაში ნამეტან ყურადღებას იქცევს ინჟენერ ბურცევის პროექტი. ეხლანდელ პროექტის განხორციელებას ის აყენებს უკან, რომ საჭიროა რამდენიმე ასი მილიონი მანეთი იმედი ჰქონდათ, რომ ამ რკინის გზას დაინტერესებული ქალაქები იკისრებდნენ, მაგრამ ქალაქები ისე არიან დავალიანებულნი (ტფილისი 3 მილიონი, ბაქო 26 მილიონი), რომ ეს იმედი არ განხორციელდა. ეხლა იმედი აქვთ კერძო პირებისა, მაგრამ ჯერჯერობით არც ეს უკანასკნელნი სჩანან.

✦ **ვალი.** ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა უმაღლეს სამმართველოსაგან ამ დღეებში ცირკულიარული მოწერილება მოუვიდა ტფ. გუბერნატორს. უმაღლესი სამმართველო სწერს, რომ ტფილისის გუბერნიის ქალაქებზე დარჩენილია 371,533 მანეთი იმ ყოველ წლიურ შემწეობისა, რომელსაც ქალაქები უწევენ ხაზინას სასწავლებლებისა და პოლიციის შესანახად. ამ ფულიდან ქალაქ ტფილისზე ითვლება 334,980 მან., სიღნაღზე 2320 მან., ახალციხეზე 19,553 მან., თელავზე 200 მან. და გორზე 4480 მან. გუბერნატორს ევალება იღონოს, რომ ქალაქებმა ეს ფული შეიტანონ ხაზინაში. ამასთან უმაღლესი სამმართველო სწერს, ჩვენ მიერ დანიშნული შემწეობა ქალაქებს დროზე ეძლევათ და რატომ ისინი თავიანთ მხრივ დროზე არ იხდიან ფულს ხაზინის სასარგებლოდაო. მართალია ბევრს ქალაქს უჭირს ფულის დროზე შეტანა, მაგრამ ყველა არ არის გაჭირვებაშიო. ეს ცირკულიარი გუბერნატორმა თავის მხრივ დაუგზავნა ქალაქების თვითმართველობათ და დააკისრა ფულის შეტანა. ხაზინას ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობისა მართებს 304,000 მანეთზე მეტი და ადვილად შეიძლება ვალის ვალში გაბრა, თუ მთავრობაც თანახმა იქნება.

✦ **მკვლელობა.** 19 ივლისს დილით ეჩმიაძინის ქუჩაზე ოთხმა უცნობმა კაცმა ქუჩაში რევოლვერით მოჰკლა გზად მიმავალი მამედ-ალია ჰუსეინ ოღლი. პოლიციამ ქუჩა მსწრაფლ შეჰკრა, 16 კაცი დააპატიმრა და მათ ვინაობის გამორკვევას შეუდგა. როგორც პოლიციას გამოურკვევია, ეს ბოროტ მოქმედება პირად[illegible]. მოკლული აქ იარაღს [illegible] მე და [illegible].

✦ **მანთაშევის სამრეწველოების გაყიდვა.** როგორც გავიგეთ, შესდგა დიდი სააქციონერო საზოგადოება სახელწოდებით „კურა", რომელსაც საწარმოო თანხად რამდენიმე მილიონი მანეთი ექნება. უმთავრესი აქციონერი იქნება ცნობილი მილიონერი, ნავთის მწარმოებელი ნობელი. „კურას" სააქციონერო საზოგადოებას გადაუწყვეტია შეიძინოს ბაქოსა, ბათუმსა და ტფილისში და ა. მანთაშევისა და ამხ. მთელი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი. ა. მანთაშევის გადაწყვეტილება სავაჭრო-სამრეწველო წარმოების ლიკვიდაციის შესახებ უკვე სისრულეში მოჰყავთ. ამის გამო მანთაშევის კანტორაში მოსამსახურეთა შტატის შემცირებას შეუდგნენ. 6 მოხელე უკვე დაითხოვეს.

✦ **თავ. ჩერქეზიშვილის ავადმყოფობა.** უკვე ვწერდით, რომ ბოლო დროს საფრანგეთიდან ქალაქის თავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის შესახებ სანუგეშო ამბავი არ მოვიდა. ქალაქის თავის მოადგილე ალ. ი. ხატისოვი დეპეშით შეეკითხებია ავადმყოფის შესახებ გარეშე კაცს, პარიზში მცხოვრებს. ამ კაცისაგან ამბავი მოვიდა, რომ თავ. ჩერქეზიშვილი კარგად არის და მალე გამომთელებული დაბრუნდება ტფილისშიო. ასეთმა ერთი მეორის საწინააღმდეგო ამბებმა ქალაქის თავის მოადგილე აიძულა დეპეშით შეეკითხებოდა თავის კარგს ნაცნობს ექიმს, დანამდვილებით აცნობოს ქალაქის თავის მდგომარეობა.

✦ **ალექსანდროვის ბაღი.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, გახსნეს ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილი. მაგრამ ამასთან გენ.-გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც ამ ბაღში შესვლა 14 წლისაზე უფროსს არ შეუძლიან. თითო ბავშვს შეიძლება ახლდეს მხოლოდ ერთი მოზრდილი. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, ესე იგი უბავშვოდ ბაღში შევა, სამ თვემდე დააპატიმრებენ ან სამას თუმნამდე დააჯარიმებენ.

✦ **გადასახადთა ინპექტორების რიცხვის გამრავლება.** რუსულ გაზეთების სიტყვით, აზრადა აქვთ, კავკასიაში გაამრავლონ გადასახათა ინსპექტორების რიცხვი. უკვე ადგენენ თურმე შესაფერ პროექტს.

✦ **კატორგა.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ ორი წლით კატორგა გადაუწყვიტა ივანე ვაშაკიძეს, რომელსაც ს.-დემოკრატიის პარტიის წევრობა ჰბრალდება.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „პრესსა და მკითხველი საზოგადოების საყურადღებოდ", ტ. ართმელაძისა. ფასი ერთი შაური.

✦ **ინსტრუქცია ქალაქის საბჭოსთვის.** ტფ. ქალაქის საბჭოს სექტემბერში წარედგინება მოხსენება საბჭოსათვის ინსტრუქციის შემუშავების შესახებ. პროექტისათვის მასალის შესაკრებად მიმართეს რუსეთის იმ ქალაქებს სადაც ასეთი ინსტრუქცია აქვთ.

დირექტორი ვაჟთა გიმნაზისა. ტფ. ვაჟთა მესამე გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა ვაჟთა მეორე გიმნაზიის ინსპექტორი გორიდენსკი.

✦ **დირექტორი ქალთა გიმნაზისა.** ტფ. ქალთა პირველ გიმნაზიის დირექტორად, ნაცვლად განისა, დაინიშნა ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორი სვატოვი, საკომერციო სასწავლებლის დირექტორად ნამყოფი.

✦ **უპასპორტოები.** ამაღლების ქუჩაზე ჩხრეკის დროს პოლიციამ დააპატიმრა 4 უპასპორტო კაცი.

✦ ეჩმიაძინის მაზრის მცხოვრებს ტიგრან ვართაზარიანცს მიუღია ფოსტიდან 700 მან., შეხვედრია თავის ამხანაგებს ისაი და გრიგოლ არამიანცებს და წასულა მათთან საქეიფოდ. ღვინის სმის დროს ვარტაზარიანცს ამხანაგებისათვის უთქვამს, რომ შარვალში ჩაკერებული მაქვს 700 მან. ვარტაზარიანცი გრიგოლ არამიანცის ბინაზე წასულა დასაძინებლად. აქ გაუგია, რომ ფულები ვიღაცამ ამოაცალა. არამიანცები დააპატიმრეს.

ბით დასტკბეს მით, რაც აუცილებელია კაცთა შორის საქმე ისე ადვილად როდი სწყდება, როგორც ჯიხვთა და ირემთა შორის. აქ ბრძოლა სიკვდილამდის მიდის, და ბრძოლის შემდეგ კიდევ ვერა ჰპოვებს უზრუნველს გამარჯვებულს. წალი თხა არ არის, არც დედალი ცხვარი, რომ იმას დამორჩილდეს სიამოვნებით, ვინც გამარჯვებული დარჩება. ქალის გულს თავისი მოთხოვნილება აქვს, აქვს თავისი ჟინი, რომლის წინააღმდეგაც ვერას გახდება ვერავითარი გამარჯვება. მართალია, ქალსაც მოსწონს ძალა, გრძნობა, გამარჯვება, მაგრამ ყოველსავე ამას მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ მისი გულიც გამარჯვებულისაკენ იწევს. შესაძლოა სიმამაცემ და რაინდულმა გამარჯვებამ ქალის გულში სიყვარული დაჰბადოს, მაგრამ არ შეუძლიან კი უეცრად დაბადებულისა და გაძლიერებულის სიყვარულის ცეცხლი ჩააქროს.

ქალის სიყვარულისას დღევანდელ „განათლებულ"-ზე უფრო მთიელი ჰგრძნობს. დღევანდელ „განათლებულს" გრძნობა „სხვა და სხვა მოსაზრებით" დახლუნგებული აქვს, იმის გონებაში არშინი და გირვანქა ბევრსა ნიშნავს, მისთვის თავის განწირვა, უბრალო ფუფუნებისა და კმაყოფილების დათმობა გრძნობისათვის, რაც უნდა ძლიერი იყოს ეს გრძნობა რაღაც მოუხერხებელი ხდება, საუკუნების განმავლობაში ცრუდ გაგებულმა სოციალურმა მოთხოვნილებამ დაასახიჩრა მისი გრძნობები, დაუჩლუნგა და დაუსუსტა სიცოცხლის ძალა. მისთვის დიდი გრძნობები გაუგებარია, მისთვის დიდი ანგარიშებია მხოლოდ საყურადღებო და თაყვანსაცემი.

მათია იტანჯება, რომ ძმად გაფიცულის ხატრფოსადმი იგრძნო გრძნობა, რომელიც საზოგადოების კანონის მიხედვით ცოდვად არის აღიარებული, რადგან იგი ძმად გაფიცულის „უფლებას" ეხება. დაძინებას აშორებდა და ამ აზრით მიწვა მინდორზედ და თვალები დახუჭა:

„ამოიოხრა და გადაბრუნდა მეორე გვერდზედ. მთვარე, რომელიც იმ ღამეს, **თითქოს განგებ, ისე გაკაშკაშებულიყო, ჰფენდა დედამიწას თავის სხივით და კაცის გულს აგნებდა თავის მღელვარებას, მწუხარებას.** მათიას გადაბრუნებაზედ **მთვარის შუქი პირდაპირ პირი-სახეზედ მიადგა და ძალათი თვალები გაახელინა.** ის ამობრუნდა გულ-აღმა და დაუწყო მთვარეს გატაცებით ყურება, რომელიც **თანაგრძნობით უალერსებდა იმის გახურვებულს გრძნობას და ეუბნებოდა:** „შენ უბედური ხარ და მე, **მარტო მე თანაგიგრძნობ შენ. მე მომენდე, მე არასოდეს არ გაგცემ, მარტო მე შემიძლიან შენი საიდუმლოს შენახვა**". ასეთი მოქმედება ჰქონდა მთვარეს მათიაზედ, და იმანაც გადაშალა თავისი გული, თავისი გრძნობა და ყველა, **ყველაფერი მიანდო იმ საერთო შეყვარებულთ მოწამეს**[1]).

მარტო მშრალ თანაგრძნობას როდი აგმარებს ბუნება ცოდვით შეყვარებულ მათიას. იგი მას გულს უამებს, უალერსებს, მომხიბლელ სურათებს უშენებს იმის ფანტაზიას და აბობოქრებულ გრძნობებს უწყნარებს.

მშვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, მშვენიერი ბუნება იზიდავდა **კაცს განმარტოებულს ოცნებისთვის.** მათია გამოვიდა საისაულოდგან, წყნარად გაიარა მინდორი და მივიდა არაგვის პირს, რომელიც **თავის ჩხრიალით თითქოს უალერსებს დაძინებულ ბუნებას.** ეს ხმა ამ მყუდროებაში **ისე უალერსებდა, ისე უყვავებდა მათიას, რომ იმის რკინის გული მოალბო და აღუძრა ათასგვარი ფიქრი ერთი ერთმანეთზედ სასიამოვნო, ერთი მეორეზედ სანატრელი, შეუძლებელი.** ის შევიდა ოცნებაში და წარმოიდგინა თავისი თავი ბედნიერად, რომელსაც ალერსით ახარებდა მზალო იმ წუთებში. ის დარწმუნებული იყო, რომ ამ ქალს მარტო ის უყვარდა, მარტო იმაზედ ჰფიქრობდა და ქვეყანაზედ არავისზედ არ გასცვლიდა იმას!.. ის თავის ოცნებამ იქამდინაც კი გაიტაცა, რომ საყვარელი ქალი მთელის თავის მშვენიერებით თვალ-წინ წარმოუდგა. ის ხელსა ჰკიდებდა ნაზ ტანს, შეჰყურებდა მშვენიერს ჟუჟუნა თვალებში და პირი ისე ახლოს მიიტანა, რომ თითქმის სუნთქვასაც კი ჰგრძნობდა. მათიას თვალ-წინ ეხატებოდა გიშრის ფერი თმები, რომელიც ქარს გაეწეწა, წყნარად არხევდა, ჰხვდებოდა იმის პირის-სახეს და სასიამოვნო ღუტუნით ნეტარების მღელვარებას აღუძრავდა... ის ნიავის მსგავსის ჩურჩულით, სავსე კრძალვით და უმანკოებით წარმოსთქვამდა ფიცს სამუდამო სიყვარულზედ და ერთგულებაზედ მათია დარწმუნებული იყო, რომ ეს ყველა არ იყო ოცნების ნამუშევარი, რომელშიაც გულს ისე დაეჯალდა ჭკუა, რომ თავის სასურველს სურათებს წარმოუდგენდა ცოცხალ მოქმედებად[2])

კოტე აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)

---

[1] „ელგუჯა" გვ. 66, 67.

[2] „ელგუჯა" გვ. 79.

◆ 19 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე, ანასტასია კონდრატიევისა და ამბაკო ბურჭულაძე ადგილის საზღვრის გამო წაიჩხუბნენ, რომლის დროს ბურჭულაძემ ხელი ჰკრა ქალს, კონდრატიევისა 3 საჟენის სიმაღლიდან გადავარდა ხრამში და ძლიერ დაშავდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, ხოლო ბურჭულაძე დააპატიმრეს.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ უკვე შეიძინა ველიამინოვის ქუჩაზე აირუმოვისეული სახლი.

სიყვარულის ვალდებულება

ჩვენი საზაფხულო ადგილები რომ დაიაროთ, ყველგან შეხვდებით დასვენებულსა და ძალ-ღონე შემოკრებილ ქალაქელ ნაცნობებს. ორი სამი თვის განმავლობაში ბუნების სიახლე, ბუნებასთან კავშირი—სამშობლო ქვეყანაში დროებით დაბრუნებასა და სულით განახლებას უდრის. ყველგან რკინის გზის სადგურებზე თითქო თქვენ დასახვედრად გამოსულ ნაცნობებს ჰხედავთ, რომელთაც პირი უცინით ხალისიანათ და თვალებში თქვენდამი წრფელი თანაგრძნობა უნათებთ. ბუნების სამშობლო კერასთან დროებითაც დაბრუნებამ ძმური კავშირი შეჰქმნა ადამიანთა შორის, საერთო ოჯახში არსებული სიყვარული აღუძრა ყველას გულში.

უმრავლესობა ქალაქებში უსიამოვნო, უგემურ შრომას ეწევა. სამსახური, უფერული, როგორც მრავალ გამვლელ-გამომვლელთაგან ნატკეპნი შარა გზა, ისეთ მანქანაში მონაწილეობა, რომელიც ადამიანს თვის უმნიშვნელო ნაწილად ჰქმნის და თავის ნებაზე ატრიალებს. ადამიანმა თავის ადამიანობა სახელმწიფო წყობილებას მიჰყიდა და თავის ნებით დაჰკარგა. იგი ვერა ჰგრძნობს თავის სულსა და გულში იმ ცოცხლად მჩქეფარე ცხოვრების წყაროს, რომელიც ადამიანის ცხოვრებას უმაღლეს მნიშვნელობას და ნეტარებას ანიჭებს: თავის ნებით არჩეულ საგანს თავისუფლად ვერ ემსახურება და წყობილების განუშორებელ ნაწილად, სხვის ბრძანების მორჩილ ამსრულებლად იქცევა.

შემოქმედების უშრეტი წყარო სიყვარულია. მხოლოდ მაშინ იბადება ადამიანის არსებაში ცოცხალი თაოსნობის უნარი და მედგარი მხნეობა, თუ იგი თვალ-წინ თავის ნებითა და სიყვარულით არჩეულ სამოქმედო ასპარეზსა ჰხედავს. სიყვარულით არჩეული საგანი—ჩვენი ძვირფასი პირმშო შვილია, რომელსაც მზადა ვართ, მთელი ჩვენი ცხოვრება შევწიროთ. ეს საგანი ჩვენის სულიერ ცხოვრების ულრმეს ძალთა ნაშობია და შემდეგ როცა იზრდება და ვითარდება, ვით შვილი მშობელს, ჩვენსავე სულსა და გულს უმაღლეს ნეტარებით აფსებს.

თვითეული ჩვენგანი თავის ბედის გამომჭედია. ვინც თავის უბედობას მარტო გარეშე ძალებს აბრალებს, ადგილიდან ვერ დაიძვრის, რადგან უექველად იმ გარეშე ძალთაგან მოელის განახლებას, რომელთაც იმისი დარდიც არა აქვთ. უბედობის მონობისაგან განთავისუფლება მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც მარტო თავისი და არა გარეშე ძალთა იმედი აქვს.

ცხოვრება მხოლოდ მაშინ გვეჩვენება შავ-ბნელად, როცა ჩვენ სულში სიყვარულის ლამპარი არ ანთია. ადამიანი კი გარედან ელის იმ სინათლეს, რომელიც მხოლოდ შიგნიდან უნდა აინთოს. მხნედ მომქმედი სიყვარული—გარეშე ცხოვრების განახლების უშრეტი წყაროა. მოსიყვარულე ადამიანი მტკიცედ სდგას ამ წუთი-სოფელში, რადგან ცხოვრების განახლების უშრეტ წყაროს თავის არსებაში, თავის სულსა და გულში ჰგრძნობს.

ბუნების მოსიყვარულე მშობლის ყვავილებით მოქარგულ კალთაში დაბრუნებამ ჩვენ დაჩაგრულ ძმა-ადამიანთა მიმართ მხურვალე სიყვარული, მათ წინაშე მკაცრი პასუხის-მგებლობა უნდა აღგვიძრას გულში. როცა ჩვენ ვისვენებთ, ისინი სიცხისა და სიმყრალისაგან აქოთებულ ქალაქებში სულისა და სხეულის გამხრწნელ შრომას ეწევიან. როცა ჩვენი ბავშვები ტყე-მინდორველად სანეტარო ჟივილით ჭრელ პეპლებს დასდევენ და ყვავილებით მოკირწლულ ამწვანებულ მდელოზე საყვარლად ცელქობენ, ქალაქებში მონურ შრომას ჯაჭვით დაბმულ მუშაკთა საბრალო შვილები მტვრიან ქუჩებსა და სიმყრალით სავსე ეზოებს ვერა შორდებიან. ნუ თუ ამ მსოფლიოს შემოქმედება მხოლოდ ჩვენ შვილებს არგუნა სამკვიდრო ყვავილოვანი მდელო, მუშების შვილებს კი—სიმყრალით სავსე ქუჩები და ეზოები?

ყველანი, ვინც დასასვენებლად ქალაქს გარედ გასულნი ვართ, ჩვენ მშობელ ბუნების გულის ძგერას რომ ყური დავუგდოთ, ღრმად დავრწმუნდებით რომ ეს გული ყველასათვის სწორისა და ერთნაირის სიყვარულითა სძგერს. ეს ხომ ჩვენსავე გულში აღძრული გრძნობაა იმ უმაღლეს წყაროს ნაშობია, რომელმაც მთელი ეს სამშობლო ბუნება ყველასათვის ერთნაირად განაცხოველა და ყვავილოვანის მწვანით შემოსა. შემოქმედება, მხოლოდ იმიტომ მიგვიკრა ახლა გულზე, რათა ჩვენ დაჩაგრულ ძმათა მიმართ სიყვარულის ვალდებულება გაგვახსენოს და მონობისაგან მათ დასახსნელად საჭირო ძალნი შეგვძინოს.

ილია ნაკაშიძე.

მოწერილი ამბები

ყვირილა. კრიზისი დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებულ პირობებშია. ამისი უმთავრესი მიზეზი როგორც ვიცით, ქვის წარმოების შეჩერებაა ჭიათურაში. აუარებელი შავი-ქვა ეყრა ამდენს ხანს უქმად თავმოყრილი, ამ ბოლო დროს-კი, სასიამოვნოდ, საქმეს თან და თან ეტყობა გამოცოცხლება და ქვის მოთხოვნილებაც დღითი-დღე მატულობს. უცხოელ კაპიტალისტებს ძლიერ ახალისებთ ეხლანდელი დაბალი მაზანდა და ბლომად გააქვთ საქონელი საზღვარგარედ. შავიქვის ფასი მართლა რომ მეტად დაბალია. ფუთი 6—6½ კ. ძლივ მწარმოებელთათვის პირდაპირ საზარალოა, მაგრამ მაინც იძულებულნი არიან, ბედს დამორჩილდნენ და ამ ფასში ჰყიდონ საქონელი. როგორც საქმის მცოდნე პირმა გადმომცა, დიდი მოთხოვნილება მოსალოდნელი, და მარგანეცის ფასი უეჭველად მალე აიწევს

14 ივლისს ყვირილის საკრებულოს დარბაზში გაიმართა ქართული წარმოდგენა. ითამაშეს ვოდევილი „უბედური დებიუტი". კარგი იყო გიმნაზიელ გალოდიას როლში ბ-ნი ზარდალიშვილი. სცენაზე ვიღაც უწვერ-ულვაშო ჭაბუკი გამოიყვანეს „მამის" როლში, რომელსაც თავისზე უფროსი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. საკვირველია, ერთ მოქმედებიან ვოდევილით გაუმასპინძლდნენ დამსწრეთ და ისიც სასაცილოდ გადააქციეს! ვოდევილის შემდეგ ბ-ნმა ზარდალიშვილმა სუფლიორის დახმარებით წაიკითხა ბარათაშვილის ლექსი „მერანი". მშვენიერი და კეთილხმოვან ლექსიდან თითქმის არაფერი დარჩა. მეტად ფერმკრთალად და უადგილო „პაუზებით" იქმნა იგი გადმოცემული. მსახიობის მუყაითობას რომ ვიცნობთ—ეს არ შეჰფეროდა არც მას და არც ბარათაშვილის „მერანს".

დასასრულ, გაიმართა [illegible] ცეკვა. მხოლოდ „ტანცაობის" ჟინით შეპყრობილი თუ ითამაშებდა ისეთს, ყოველმხრივ „დანჯღრეულ" მუსიკის ხმაზე, როგორც ამ სადამოს იყო. „ორკესტრის" არეულ-დარეული ბრახაბრუხი მთელ დაბაში ისმოდა.

სიამოვნების მაძიებელმა ამ სადამოდან ვერავითარი სიამოვნება ვერა ჰპოვა, თუმცა უფლება-კი ჰქონდა მოეთხოვა: ადგილების ფასები მეტად ძვირი იყო.

უსამართლო იქნება, ბატონებო, საზოგადოებას უსაყვედუროთ გულგრილობა, მაშინ, როდესაც თქვენის მხრივ მხოლოდ მატერიალურს მხარეზე ზრუნავს სჩანს და სამაგიეროდ სიამოვნებაზე ფიქრი-კი არა...

„წარმოდგენა" დაიწყო თერთმეტის ნახევარზე და თერთმეტ საათზე დასრულდა. კიდევ მადლობა ეკუთვნით გამგეთ, რომ წარმოდგენა ნაშუადღევზე ადრე მაინც დაიწყეს..

ჯაფარ-ფაშა.

ქსნის ხეობა. პური და ქერი მომწიფდა. გლეხობამ ნამგლები გალესა და დაუწყო მკა. მაგრამ აქაურმა ვაჭრებმა კი ტომრები დაბერტყეს, ნისიების დავთრები მოძებნეს, ცხენს ფანდლები მოუმზადეს და ელიან როდის გალეწავენ, რომ თავზე წაადგნენ და აიღონ ნისია. გლეხს ისე გამოაცლიან ხელიდან მთელი წლის მოსავალს, რომ სათესლედაც არა რჩებათ ხელში.

დადიანეთში (ცხრა ძმის ხეობაზე) ამ თვის 12 ს, ღამის 10 საათი იქნებოდა, რომ რვა შეიარაღებული კაცი დასცემიან გლეხს ზაქარა და ბერო ბერაინიძეებს. ესენი ყველანი გარედ წოლილან, ყაჩაღებს სახლში შეურბენიათ და უთქვამთ—ნუ გეშინიანთ, არ მოგკლავთ, მარტო ფული გვინდაო. როდესაც ურა მიუღიათ, ერთს თავში ხანჯალი ჩაურტყავს ბეროსთვის, მეორეს თოფის ტუჩით უცემია, მესამეს ხანჯლის წვერით უჩხვლეტია—თხუთმეტ ადგას აქვს ხანჯლით ნაჩხვლეტი. როდესაც ეს [illegible], მივარდნიან ქალს და დაურტყამთ თოფის კონდახი—ჩქარა გვითხარი ფული სად არისო. ქალს უჩვენებია. წაიღეს 290 მანეთი, ტანისამოსი, ერთი თუნგი არაყი, ყველი ერთი კვერცხული და პური. მეორე დღეს მოვიდა ბოქაული.

სოფელ იგეტში 3 ამ თვეს ადგილობრივმა მცხოვრებმა მოკლა ხანჯლით თავისი მეზობელი, ვენახის სარწყავ რუს თაობაზე.

პირველ აგვისტოდან მთავრობის მამასახლისები აღარ იქნებიან შემდეგ ადგილებში: ახალგორს, მონასტერს, ჭედისჯვარს და ბაზალეთს. დარჩება ქსნის ხეობაზე ერთი მთავრობის მამასახლისი ზახორში, სხვანი ამორჩეულნი იქნებიან.

გლეხი ვანო.

ოსმალეთის ამბები

ლეკების დეპუტაცია სტამბოლში.

„კასპი"-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: „აქ მოვიდა ლეკების დეპუტაცია, რომელიც შამილის ხმალს მიართმევს სულთანს".

კრიტეს საქმე.

კრიტეს საქმე თან და თან რთულდება. ოსმალეთის ფლოტის ინგლისელმა ინსტრუქტორმა ბძანება მიიღო, ეგეის ზღვაში წაიყვანეთ ესკადრაო.

ბერძენთა პატრიარქი.

„გოლოს მოსკვი"-ს კორესპონდენტი იუწყება სტამბოლიდან: „სტამბოლში სენსაციონური ხმა გავრცელდა, ვითომ მსოფლიო პატრიარქი იოაკიმე მე-2 ჯაშუშად ყოფილა აბდულ-ჰამიდის დროსაო. ამბობენ, ეს გარემოება გამოარკვია იმ კომისიამ, რომელიც ილდიზ-კიოსკის არხივსა სჩხრეკსო. სხვა და სხვა ქაღალდებში კომისიამ იპოვა მრავალი მოხსენება, რომლებსაც პატრიარქი ყოველ კვირას უდგენდა სულთან აბდულ-ჰამიდსა. ამ მოხსენებებში პატრიარქი აბეზღებდა სხვა და სხვა პირებსაო.

ამ ხმამ მთელი აქაური პრესა აალაპარაკა. ბერძნული გაზ. „პროოდოს"-ი მოითხოვს, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს ის საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ პატრიარქის ჯაშუშობას, ან არა და უარ-ჰყოს ეს ხმა, რადგან იგი მეტად მძიმე ბრალსა სდებს მთელს ბერძენთა ერსაო.

ახალგაზდა ოსმალთა გაზ. „ტანინ"-ი ეთანხმება გაზ. „პროოდოს"-ს, რომლის აზრსაც სთვლის სამართლიანად და კანონიერ აზრად.

უცხოეთი

რევოლ. ესპანიაში.

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: რევოლიუცია ესპანიაში ძლიერდება. უცხოელი კორესპონდენტები დაითხოვეს სატახტო ქალ. მადრიდიდან. მოელიან, რომ დიქტატორად დაჰნიშნენ გენ. ფეიდერს, რომელიც განთქმულია თავის [illegible]. მეფეს, როდესაც იგი ქალაქ გარედ მიდიოდა, ხალხმა სტვენა დაუწყო. საყოველთაო გაფიცვა თან და თან ძლიერდება.

მადრიდის მეცხენე ჯარი რევოლიუციონერების მხარეს გადავიდა.

ქალ. ბარცელონაში [illegible] ბრძოლაა რევოლიუციონერებსა და ჯარს შორის. აქაური გუბერნატორი თანამდებობიდან გადადგა. ხალხმა დასწვა 5 მონასტერი და 5 სახლი. ბოლოს რევოლიუციონერებმა სძლიეს ჯარს და მთელი ქალაქი ბარცელონა ხელში ჩაიგდეს. ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ ქალებიც. ქალი თუ კაცი, ყველანი გმირულად იბრძვიან.

ბისკაის პროვინციაშიაც დაიწყო რევოლიუცია. ბისკაიდან საფრანგეთში გაიქცა 3 ათასი ესპანიელი ჯარის-კაცი. (ბისკაია საფრანგეთის საზღვარზეა).

ვალენსიასა და ნავარაშიაც დაიწყო რევოლიუცია; იქ საჩქაროთ გაგზავნეს ჯარი. მეფე ალფონსი ბეჯითად თხოულობს პარლამენტის დაუყოვნებლივ შეკრებას, ხოლო მთავრობას ეს მეტად [illegible]. ესპანიის ფასიან ქაღალდების კურსი დაეცა.

ბრძოლა ესპანიელებსა და მაროკელებს შორის.

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: ესპანიის ჯარის მთავარ-სარდალი ქალ. მელილიაში გენ. მარინა თხოულობს 70,000 ჯარისკაცის მოშველებას, კაბილებს თან და თან ემატებათ ჯარი.

ერთ ესპანიელ გაზეთს პარიზში უთქვამს „რუს სლოვა"-ს კორესპონდენტისათვის: ომი მაროკოს წინააღმდეგ ძლიერ ეჯავრება ესპანიის ხალხს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ესპანია მაროკოს ავანტიურაში გაება მხოლოდ სპილენძის მადნის საზოგადოების გულისთვის. (ამ მადანს სახელად ჰქვიან ბენი-ბუდ-უფური), მეორე კიდევ იმიტომ, რომ ესპანიაში აქამდე მდიდარს კაცს შეეძლიან თავის მაგივრად ფულით დაიქირაოს სხვა კაცი. ეს წესი დიდს უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. ჯერ კიდევ კუნძულ კუბაზე ომის დროს ჩვენი ხალხი თხოულობდა: „ან ყველანი უნდა წავიდეთ სამხედ, ან არა და არავინაო", ამ ომმა უარესად გაუტეხა სახელი მეფის დინასტიასო.

საფრანგეთის მთავრობამაც გაგზავნა ჯარი მაროკოში ფრანგების დასაცველად.

რუსეთი

◆ **გერცენშტეინის მოკვლის საქმე.** ამ დღეებში ფინლიანდიის სასამართლოს უნდა გაერჩია გერცენშტეინის მოკვლის საქმე, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზისა გამო 12 აგვისტოსთვის გადასდო. „რ. ს."-ში ამის შესახებ შემდეგი კორესპონდენცია დაბეჭდილი: ტერიოკის სასამართლოში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, სასამართლოს ახლო თავი მოუყრიათ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" 60 წევრს, მათ შორის, ბულაცელს, ნიკიტინს და მილიონერ-ქალს პოლუბოიარინოვას. იუშკევიჩ-კრასოვსკი არ ჩამოუყვანიათ. „კავშირის" წევრები ყვირიან უსტვენენ, ერთი აყალ-მაყალია. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ „ჭეშმარიტი რუსები" ჩხუბს ასტეხენ. შუადღის 12 საათ. პეტერბურგიდან ჩამოვიდნენ ვებერი და პრუსაკოვი. „ჭეშმარიტ რუსებმა" მათ დანახვაზე ყვირილი დაიწყეს: კადეტი! იუდა! ერთი აურ-ზაურია. ბულაცელი იღებს „რუს. ზნამიას" ნომერს და ხმა მაღლა კითხულობს წერილს. წერილში სწერია, რომ ტყუილია, ვითომ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს" პარიზში კაცები გაეგზავნოს ბურცევის მოსაკვლელადო.

ჩვენაო, ყვირის ბულაცელი, მადლობელი ვართ, რომ ბურცევმა ქვეყანას დაანახვა გარტინგის და აზეფის, ამ „ჟიდების" ორპირობა. ბურცევს მოკვლა პროგრესისტებს უნდათ.

„ჭეშმარიტი რუსები" თან და თან უფრო ღელდებიან. როდესაც სასამართლოს კარები გააღეს „ჭეშმარიტი რუსები" გაშმაგებულები შეცვივდნენ სასამართლოში და სულ თითონ დაიჭირეს ადგილები. პოლიციამ ძლივს-ძლივობით შესძლო წესიერების აღდგენა და „ჭეშმარიტი რუსები" ზრდილობიანად გამოიყვანა სასამართლოდან. ეს უკანასკნელნი პროტესტს აცხადებენ, მაგრამ ამაოდ. სასამართლომ დაადგინა, სასამართლოში მარტო კორესპონდენტებს და „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" 10 დელეგატს შეუშვებთო. ბულაცელმა აქვე შეადგინა სია ათი კაცისა. სიაში „კავშირის" ცნობილი პირები მოხვდნენ. სასამართლოს სხდომა ნაშუადღევის 2 საათზე იწყება. ბულაცელი დუბროვინის სახელით პროტესტს აცხადებს ბრალდების გამო. ვებერს თავის მხრივ შემდეგი განცხადება შეაქვს: „რადგან პრუსაკოვმა და სხვა მოწმეებმა ნათლად დაამტკიცეს, რომ ბულაცელი აწყობდა სემინიკოვსკის ქარხნის დირექტორის გიპიუსის, პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის, იუსტიციის მინისტრის შჩეგლოვიტოვის, ნაფიც ვექილ გრუზენბერგის, ვინავერის და სხვების მოკვლის, ამიტომ მას არ შეუძლიან ამ საქმეში დამცველად გამოვიდეს, მას მხოლოდ მოწმედ შეუძლიან იყოსო". ბულაცელი აღელვებულის ხმით ამტკიცებს, რომ ფინლიანდიის კანონებით მე შემიძლიან დამცველად გამოვიდე, რადგან ჯერ ერთი, რომ აქ სტოლიპინის, შჩეგლოვიტოვის, გიპიუსის და კიდევ სხვა „ებრაელების" მკვლელობის მოწყობა არ ირჩევა და მეორე, რომ ეს საქმე რუსეთის სასამართლოს შეეხება და არა ფინლიანდიისასაო. მე აქ მოვედი რუსის ხალხის დასაცველად და დავიცავ იმ დრომდის, სანამდის მათ შესახებ ინტრიგებს არ მოსპობენო. რაც შეეხება ვებერს, ამის შესახებ ჩემი ამხანაგი ნიკიტინი ილაპარაკებს და დაამტკიცებს, რომ ვებერმა მოისყიდა მოწმეები. ნიკიტინს სასამართლოში განცხადება შეაქვს, ვებერი დაინტერესებული პირია, მან სხვათა შორის, მოწმე იაკოვლევი მოისყიდა და ამიტომ გთხოვთ ვებერს ვექილობის ნება არ მისცეთო. ვებერი იცინის.

სტეფანე იაკობის ძე იაკოვლევიო, ამბობს ვებერი და სხვა მოწმეები „ჭეშ. რუს. კავშ." მთავარ საბჭოს წევრია და დუბროვინის და ბულაცელის მეგობარი. ამას გარდა იაკოვლევი დამცველ პოლიციის აგენტია. აი ეს კაცი ამტკიცებს, ვითომ მე იგი მომესყიდოს. ფინლიანდიის სასამართლოსთვის ამისთანა კაცის ჩვენებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. ბულაცელი პროტესტს აცხადებს, რომ ვებერი იცინის და სთხოვს სასამართლოს ეს განაჩენში იქმნეს შეტანილი. ნიკიტინი თხოულობს იაკოვლევი მოწმედ იყოს გამოწვეული. სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, განვიხილავთ დამცველების შუამდგომლობასო. სასამართლოს მოსალაპარაკებლად მეორე ოთახში უნდა გასვლა, მაგრამ ბულაცელი სიტყვას თხოულობს.

ბ-ნო მოსამართლეებო, იწყებს ბულაცელი, მე სანამდის მოსალაპარაკებლად გაბრძანდებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით მოგმართოთ, მოიფიქრეთ, რას სჩადიხართ. განა შესაძლებელია, რომ დუბროვინი სამართალში მარტო იმისთვის მისცეთ, რომ ეს ასე სურს ვებერს? სამართალში მისცეთ ის დუბროვინი, რომელიც „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს" უდგას სათავეში, აქვს 3,572 განყოფილება და თვითეულ განყოფილებაში 1000 კაცზე ნაკლები არა ჰყავს? რუსეთის ხალხი, არ გასცემს დუბროვინს. დუბროვინმა დამავალა განვაცხადო, რომ ის სასამართლოში არ გამოცხადდება. შესაძლებელია. რომ თქვენ იგი გაასამართლოთ სასჯელი მიუსაჯოთ, მაგრამ ის მაინც სათავეში უდგება გაზეთ „რუსკ. ზნამია"-ს, იმ გაზეთს, რომელსაც მილიონი მიმდევრები ჰყავს და რომელიც ყოველთვის მართალს ლაპარაკობს. მე არა მგონია, რომ ფინლიანდიის სასამართლო, რომელიც ხელმწიფე-იმპერატორის სახელით მოქმედებს და რომელსაც მე პატივს ვცემ, იმ მახეში გაებას, რომელიც მისმა მტრებმა დაუგეს". ბულაცელის „დარიგების" შემდეგ სასამართლოს სხდომა შესწყდა. ნახევარ საათის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასამართლომ არ შეიწყნარა არც ერთი მხარეს შუამდგომლობაო. იწყება საქმის გარჩევა. ბულაცელი თხოულობს, რადგან საბრალმდებლო აქტი არ არის, ბრალმდებელმა დაასაბუთოს ბრალდებაო. სასამართლოს თავმჯდომარე ბულაცელს უხსნის, ვებერმა სასამართლოს წინანდელს სხდომაზე განაცხადა. დუბროვინი გერცენშტეინის მკვლელობის ინიციატორია და გთხოვთ სამართალში მიგვეცა.

განა ვებერის მარტო ერთი განცხადება საკმარისია, რომ დუბროვინი სამართალში მისცეთ? აღელვებული ხმით ამბობს ბულაცელი.

თავმჯდომარე ხელმეორედ უხსნის, რომ ვებერმა ბრალდება წამოაყენა და სასამართლო მოვალეა განიხილოსო. ამის შემდეგ თავმჯდომარემ ვებერს სთხოვა, თქვენი ბრალდება დაასაბუთეთო. ვებერმა უარი განაცხადა. მეო, ამბობს ის, მოვალე არა ვარ ეს თხოვნა ავასრულო. ჩემი ბრალდება დამყარებულია მოწმეების ჩვენებაზე და იმ მასალებზე, რომელიც სასამართლოში შეიკრიბაო. ბულაცელის აზრით ვებერის მიერ ბრალდების დასაბუთებაზე უარის თქმა იმას ნიშნავს, რომ დუბროვინის საქმე უნდა მოისპოს. ვებერი იცინის და ამბობს, რომ მე მხოლოდ არ მინდა ბულაცელს გაკვეთილი მივსცე და ვასწავლო, თორემ დუბროვინის ბრალდებაზე უარის თქმა თავშიაც არ მომსვლიაო. ლაპარაკში ჩაერია პროკურორი და საქმის გადადება მოითხოვა. ბულაცელი პროტესტს აცხადებს, საქმის გადადება რაღა საჭიროა ბარემ გაირჩეს და თავიდან მოვიშოროთ ეს საქმეო. ვებერს და ბულაცელს თითქმის ჩხუბი მოსდით. ერთმანეთს „ცრუპენტელა" და სხვა ამისთანა ეპიტეტებით უმასპინძლებოდნენ. პროკურორის თხოვნით ვებერი დათანხმდა დაასაბუთოს ბრალდება. სასამართლომ, მიუხედავად ბულაცელის პროტესტისა, საქმე 12 აგვისტოსთვის გადასდო. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრებმა სასამართლოს სადგომი ეროვნული ჰიმნის სიმღერით მიატოვეს. პეტერბურგში „კავშირის" წევრებმა პრუსაკოვს ერთი ვაი-უშველებელი დაატეხეს თავზე: გამყიდველო, იუდა,-აზეფო! უყვიროდნენ მას და სიმღერების შემდეგ დაიშალნენ". (რ. ს.)

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვა: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—132)

თავ.-აზნაურთა სახლთან

სასახლის ქუჩაზე იყიდება: დიდი პარტია **ბაგეტებისა**, ძველი **დარაბები და ჩარჩოები** მაღაზიებისა, კარებები და ფანჯრის ჩარჩოები და სხვა ნივთები.

იქვე იძლევა ქირით სადგომები **მაღაზიებისა, კანტორებისა და საწყობებისთვის.**

მსურველმა უნდა მიმართოს მამულის გამგეს კანტორაში, რომელიც იმავე სახლშია მოთავსებული.

(3—393—2)

თეკლათის დედათა მონასტერში
(ახალ-სენაკის მახლობლად)

დაარსდა **სახელოსნო სასწავლებელი.** იღებენ ქალებს, განურჩევლად წლოვანობისა. ასწავლიან ყოველნაირ ფეხსაცმელის, საქალო თუ სავაჟო წინდების კერვას; ოქრომკედით, სირმით დადებულს ქარგვას; ფერად წამლებით ხატვას ბალიშებისა, მუთაქებისა და სხვათა; საბნების ქარგვა-კერვას; საერო, სასულიერო და აგრეთვე საეკლესიო სამღვდელო სამოსლების ჭრა-კერვას.

მასწავლებლობენ თვით მონოზნები, რომელთაც საუცხოოდ შესწავლილი აქვთ თავიანთი ხელობა.

სწავლის ფასი თვეში 5 მანეთია და ყველაფრის ერთიანად 5 თუმანი.

(2—ფ—2) **იღუმენია ეკატერინე.**

კანტორა და საწყობი
„სპერმატინისა"
და
„ალმეზისა"
გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—6.—29) **ი. ახობაძე.**

◀ სიკვდილი ▶
ბაღლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი" ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—11)

საბუღალტრო კლასსები
ი. ფონ-ბრენნერისა
დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაბერეჟნის ქ., ვერის ხიდთან.

სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასსებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე. (15—ბ.—3)

სტამბა „ხინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.